გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი, 2005 წელი.

№237 (5270)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი დიდ წვლილს შეიტანს მსოფლიოს ენერგორესურსებით მომარაგებაში








**გუშინ** გარდაბნის მახლობლად მილსადენის საქაჩ სადგურზე გაიმართა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დასრულების საზეიმო ცერემონიალი.

სადღესასწაულო ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მასპინძლობდა. ღონისძიებას აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, თურქეთის პრეზიდენტი აჰმედ სეზერი, BP-ის მთავარი მენეჯერი იან კონი და სახელმწიფო მოღვაწეთა დიდი ჯგუფი ესწრებოდნენ.

იხ. მე-2 გვ.

## საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება პროტესტს აცხადებს



**საქართველოს** მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება გამოთქვამს მტკიცე პროტესტს იმ დისკრიმინაციული ღონისძიებების წინააღმდეგ, რომლებიც ხორციელდება აკადემიის სამეცნიერო ინსტიტუტების მიმართ და, საზოგადოდ, იმ პიარკამპანიის წინააღმდეგ, რომელიც ამ ბოლო დროს პერმანენტულად ტარდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მისამართით.

იხ. მე-3 გვ.

## ზედმეტი თვითდამშვიდებით და გალიზიანებით საქმე არ გაკეთდება




იხ. მე-3 გვ.

**სწორედ** სათანადო სამუშაოების შეუსრულებლობის (ნაპირსამაგრი იქნება ეს, მდინარეთა კალაპოტების გაწმენდის თუ გამაგრების და ა. შ.) გამოა, რომ, შავი ზღვა სულ უფრო მეტად იტაცებს მიწებს ფოთში თუ სხვაგან, რომ იგივე ფოთში, ე. წ. მეშვიდე კილომეტრზე მდებარე ჰიდრონაგებობას კატასტროფა ელოდება, რომ იტბორება ქალაქების თუ რაიონული ცენტრების ქუჩები და სხვა.

სასწაულებს, თანაც ასეთ მოკლე დროში, ხელისუფლებისგან არც ველით და არც მოვითხოვთ, მაგრამ არც ზედმეტი თვითდამშვიდება და გალიზიანება მართებთ მის წარმომადგენლებს.

## საზოგადოებრივი მოძრაობის „საქართველოში მეცნიერებისა და განათლების გადარჩენისათვის“ დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

*ცხადია, რომ ქვეყანას საბედისწერო ჟამი დაუდგა: ინგრევა ქართული მეცნიერება, უნივერსიტეტი, საშუალო სკოლაში სწავლისა და სწავლების ფუნდამენტური პრინციპი. სულ მალე აღარც ღირსეული მეცნიერება გვექნება, აღარც ფუნდამენტური საუნივერსიტეტო განათლება და აღარც სულიერად ჯანმრთელი ახალგაზრდობა გვეყოლება. ეს უკვე შორდება საკუთრივ აკადემიის ან საკუთრივ უნივერსიტეტის, ანდა, თუნდაც, საკუთრივ საშუალო სკოლის ფარგლებს. ესაა მთელი ქვეყნის, ყოველი კეთილი ნების მოქალაქის საფიქრალი. თუ ჩვენ შევურიგდებით საყოველთაო ღირსების დამდაბლებას და დაცემას, მაშინ ღირსნი ვყოფილვართ ყოველივე ამისა. ყველამ, მთელმა საზოგადოებამ, უნდა გააცნობიეროს, რომ პასუხისმგებელია არა მხოლოდ დღევანდელობის, არამედ ჩვენივე წარსულისა და მომავლის წინაშე.*

იხ. მე-3 გვ.

### ◉ პანორამა

**18 ათასი წლის** წინათ ინდონეზიაში ცხოვრობდნენ „ჰობიტები“, ამტკიცებს პროფესორი მაიკ მორვუდი. ამ ადამიანმა ააფორიაქა მთელი სამეცნიერო სამყარო,



როცა შარშან განაცხადა, რომ თავის კოლეგებთან ერთად აღმოაჩინა აქამდე უცნობი სახეობის ადამიანის ნეშტი, რომელსაც მორვუდმა „ჰომო ფლორესიენსისი“ უწოდა. ახლა მან თავისი თეორიის მტკიცებულებებიც აღმოაჩინა.

* * *

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში გაიმართა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო, გაერკვიათ 2008 წლის პრეზიდენტის არჩევნებზე ელექტორატი რომელ კანდიდატს მიანიჭებდა უპირატესობას. რესპუბლიკელებმა დაასახელეს ნიუ-იორკის ყოფილი მერის რუდოლფ ჯულიანის კანდიდატურა, დემოკრატებმა კი უპირატესობა მიანიჭეს ქვეყნის ყოფილ პირველ ლედის ჰილარი კლინტონს.

* * *

**ბრიტანეთში** უსინათლო მძღოლმა სიჩქარის რეკორდი დაამყარა. ქალაქ სეიელის მკვიდრმა მაიკ ნიუმანმა სპეციალურად აღჭურვილი „ბმვ-მ5“ ავტომანქანით ქალაქ ელვინგტონის აეროპორტში საათში 267,7 კილომეტრი სიჩქარე განავითარა, რითაც შევიდა გინესის რეკორდების წიგნში. აღსანიშნავია, რომ უსინათლო მძღოლი მანქანას დამოუკიდებლად მართავდა.

## დაუმორჩილებელი სული



1989 წლის 13 ოქტომბერს ტრაგიკულად დაიღუპა მერაბ კოსტავა

იხ. მე-5 გვ.

## მომხმარებელს აბუჩად იგდებენ



**შესწავლილი** ობიექტების აბსოლუტური უმრავლესობა ვაჭრობდა უცხოური წარმოების კონტრაბანდული (უსაბუთო) შოკოლადით, ძეხვით, შებოლილი თევზით, პურის ფქვილით, კონსერვებით, რომელთა უმეტესობას არ ჰქონდა ინფორმაცია ქართულ ენაზე.

იხ. მე-4 გვ.

### ◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## აფხაზეთი რუსი სამშვიდობოების მანდატის შეცვლას ეწინააღმდეგება

იხ. მე-7 გვ.

## „...შენს მიწას მიმაბარეო“



**თბილისში** დაწყებითი მუსიკალური განათლების დაუფლების შემდეგ ლენინგრადის კონსერვატორიას მიაშურა, არა გამოცდების ჩასაბარებლად, არამედ ძალების მოსასინჯად. როგორ წარმოიდგენდა თუ კათედრის გამგე, პროფესორი კონსულტაციაზე ეტყოდა, სამი დღით თუ შეგიძლია დარჩეო. მეორე დღეს კიდევ ორმა პროფესორმა მოუსმინა. მესამე დღეს რექტორთან შეიყვანეს და ... პირდაპირ მესამე კურსზე დასვეს ... სწორედ სამი თვის შემდეგ უდირიჟორა ოპერას.

იხ. მე-5 გვ.

### ◉ რას წერენ რუსები თავიანთ თავზე

**„რეფორმა... განათლების წინააღმდეგ“** — ასეთი წარწერა აქვს ამ კოლაჟს, რომელიც „არგუმენტი და ფაქტის“ ბოლო ნომრიდან ავიღეთ.




### ◉ ინფორმაცია

#### ფრინველებზე ნადირობა აიკრძალა

**გადამფრენ** ფრინველებზე ნადირობა 2005 წლის ბოლომდე იკრძალება. ამის შესახებ ბრძანებას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა ხელი გუშინ მოაწერა.

ნადირობა საქართველოში ფრინველის გრიპის ეპიდემიის საფრთხის თავიდან ასაცილებლად აიკრძალა.

გადამფრენი ფრინველების სამიგრაციო ძირითადი გზა საქართველოში კოლხეთის დაბლობსა და ჯავახეთის ზეგანზე გადის. შესაბამისად, როგორც სამინისტროში „ინტერპრესნიუსს“ აცნობეს, გარემოს დაცვის ინსპექციის ოპერატიული რეაგირების ჯგუფები ეპიდემიის გავრცელების მაღალი რისკის ქვეშმყოფ რეგიონებში ბრაკონიერების აღსაკვეთად კონტროლს გაამკაცრებენ.

#### მეტალურგიული კომბინატის კირის საბადო და დოლომიტის საამქრო გაიყიდა

**გუშინ**, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ძირითადი ქონების გაყიდვის შემდეგ, აუქციონის მეორე ლოტზე ცალკე გაიტანეს მეტალურგიული კომბინატის საწესდებო კაპიტალში შეტანილი კირის საბადო და დოლომიტის საამქროები.

აუქციონის პირველი ლოტისაგან განსხვავებით, აღნიშნულ საამქროზე უკვე სერიოზული ვაჭრობა გაიმართა — შპს „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსსა“ და შპს „თედოილის“ წარმომადგენლებს შორის.

დოლომიტის საამქროს საწყისი ფასი 1 მილიონი აშშ დოლარი იყო. თუმცა, კონკურენტებს შორის გამართული 35-წუთიანი ვაჭრობის შემდეგ, საამქრო 6 მილიონ აშშ დოლარად შპს „თედოილმა“ შეიძინა, რომელიც ნავთობპროდუქტების იმპორტითაა დაკავებული.

აუქციონის მესამე ლოტში უკვე დედოფლისწყაროში არსებული კირის საბადოზე არსებული ქონება გაიტანეს, რომლის სასტარტო ფასი 500 ათასი აშშ დოლარი იყო. „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსმა“ ეს საბადო შეიძინა, შპს „თედოილს“ კი მესამე ლოტში მონაწილეობა უკვე აღარ მიუღია.

#### ახალი პარტიები

**საქართველოს** იუსტიციის სამინისტრომ წლეულს რეგისტრაციაში სამი პოლიტიკური პარტია გაატარა.

როგორც ინტერპრესნიუსს იუსტიციის სამინისტროში განუცხადეს, სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტმა 2005 წლის 9 თვის განმავლობაში რეგისტრაციაში გაატარა — 3 პოლიტიკური პარტია, 35 მაკონტროლებელი ორგანო, 550 კავშირი და კავშირის ფილიალი, 90 ფონდი და ფონდის ფილიალი და უცხო ქვეყნის არასამეწარმეო იურიდიული პირის 10 წარმომადგენლობა.

ამ ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს ბიუჯეტში გადახდილი სარეგისტრაციო მოსაკრებელი 40 000 ლარზე მეტს შეადგენს.

სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის გიორგი გოგიბერიძის ინფორმაციით, წელს რეგისტრირებულ პოლიტიკურ პატრიებს შორის არის: პოლიტიკური გაერთიანება „ქართული მოძრაობა“, „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ და „საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პარტია“.

დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში სულ 184 პოლიტიკური პარტიაა დარეგისტრირებული.

ინტერპრესნიუსი

◎ მოვლენა

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი დიდ წვლილს შეიტანს მსოფლიოს ენერგორესურსებით მომარაგებაში

(პირველი გვერდიდან)

1768-კილომეტრიანი მილსადენით მოხდება ყოველდღიურად 1 მილიონი ბარელი ნავთობის გადაზიდვა აზერი-ჩირაგ გუნაშლ საბადოდან ალმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირა პორტ ჯეიჰანში.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს რეგიონისთვის დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ნავთობსადენის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე. მისი თქმით, ნავთობსადენის პარალელურად ვითარდება ინფრასტრუქტურა და, ასევე, შემოდის დამატებითი ინვესტიციები.

პრეზიდენტის განცხადებით, მომავალი წლისთვის იგეგმება ბაქო-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობა, რომელსაც საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან ბაქო-ერზერუმის ამოქმედებით, საქართველო ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას მიაღწევს.

— ეს პროექტები რეგიონის წარმატებით განვითარებას შეუწყობს ხელს, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა აზერბაიჯანსა და თურქეთში ეკონომიკურ ზრდაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ამ ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკური პროცესები საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია, ვინაიდანს მეზობლად წარმატებული ქვეყნები ეყოლება.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის შეფასებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამუშავება, მნიშვნელოვნად წაადგება რეგიონის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

ალიევმა საზეიმო ცერემონიაზე მადლობა გადაუხადა ამ პროექტის განხორციელებაში მონაწილე ყველა ორგანიზაციას.

ალიევის თქმით, არსებობენ ძალები, რომლებიც ნავთობსადენის ამოქმედების მოხარულნი არ არიან. „მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, ნავთობსადენის ამოქმედება მაინც მოხერხდა, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც საქართველოს, თურქეთის და აზერბაიჯანის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას, ასევე ხელს შეუწყობს რეგიონის სტაბილურობას და მის შემდგომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას, — განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა.

მან ასევე ხაზი გაუსვა ამ პროექტის განხორციელებაში „ბრიტიშ პეტროლიუმის“, აშშ-ის და თურქეთის როლს. „დღეს მე ამაყი ვარ, ეს იყო ოცნება, რომელიც რეალობად იქცა, — აღნიშნა ალიევმა.

მისი თქმით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი არის საფუძველი მომავალი თანამშრომლობისა თურქეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის.

ალიევის თქმით, ნავთობსადენს სულ ახლო მომავალში დაემატება შაჰდენიზის გაზსადენი, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონის სტაბილურობას და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

როგორც ალიევმა აღნიშნა, იგი მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლებას და მის მიერ გატარებულ რეფორმებს და იმედი აქვს, რომ ამ რეფორმების შემდეგ აზერბაიჯანს საქართველოს სახით ძლიერი და საიმედო მეზობელი ეყოლება.

ალიევმა ხაზი გაუსვა, ასევე, თურქეთის როლს რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების თვალსაზრისით და განაცხადა, რომ თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო თანამშრომლობენ და მომავალშიც გააგრძელებენ თანამშრომლობას როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ სფეროებში.

თურქეთის პრეზიდენტი აჰმედ სეზერი დარწმუნებულია, რომ თურქეთი, საქართველო და აზერბაიჯანი კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით.

სეზერის განცხადებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი იყო ოცნება, რომელმაც ხორცი შეისხა და რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მსოფლიოს ენერგორესურსებით მომარაგებაში.

თურქეთის პრეზიდენტის თქმით, ეს ნავთობსადენი შესაძლოა განვიხილოთ ერთგვარ ალტერნატივად ისეთი შემთხვევებისთვის, როგორიც, მაგალითად, გასულ თვეში განვითარდა. აჰმედ სეზერი ქარიშხალ „კატრინას“ მიერ აშშ-ის ნავთობმომპოვებელი დარგისთვის მიყენებულ ზიანზე საუბრობს, რამაც მსოფლიოში ნავთობის ფასის ზრდა გამოიწვია.

სეზერის განცხადებით, მსგავსი შემთხვევებისგან მსოფლიო არც მომავალში იქნება დაზღვეული და ამიტომ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს, რომელიც მსოფლიოს დღეში მილიონი ბარელით მეტი ნავთობით უზრუნველყოფს, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ ნავთობსადენთან ერთად, დიდ მნიშვნელობას იძენს ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის და ყარსი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა. ეს პროექტები ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას, — აღნიშნა სეზერმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელებაში მონაწილე ყველა ორგანიზაციას და ქვეყანას.

* * *

**13 საათზე საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა გარდაბნის საქაჩ სადგურზე ხელი დააჭირეს ღილაკს, რის შემდეგაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საქართველოს სექტორი ოფიციალურად გაიხსნა.**

მილსადენის შევსება ეტაპობრივად მოხდება და რამდენიმე თვის განმავლობაში გაგრძელდება. ნავთობსადენის შევსებას დაახლოებით 10 მილიონი ბარელი ნავთობი დასჭირდება.

ამჟამად ნავთობი საქართველოდან თურქეთის საზღვრისკენ მიემართება. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მეშვეობით ტრანსპორტირებული ნავთობით პირველი ტანკერი ჯეიჰანის პორტში 2005 წლის დეკემბერში დაიტვირთება.

* * *

**საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტები გუშინ საღამოს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, „ბი-პის“ ორგანიზებით საქართველოში ჩამოსული ბრიტანული პოპულარული ჯგუფის „სიმფლი რედის“ კონცერტს დაესწრნენ.**

◎ დღის შეკითხვა

## თქვენი აზრით, პოლიტიკურად და ეკონომიკურად რას წარმოადგენს „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“ საქართველოსთვის?

**მამუკა მესხი, რეჟისორი:** — თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ნავთობსადენმა პოტენციურად ფინანსური მოგება უნდა მოგვიტანოს, მაშინ ეკონომიკის თვალსაზრისით, მისი საქართველოს ტერიტორიაზე არსებობა გამართლებულია. ამასთან, მგონია, რომ მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა უფრო აქვს, თანაც ხელისუფლების „დაპიარების“ კარგ საშუალებას წარმოადგენს.

**ნათელა დარჩიაშვილი, პედაგოგი:** — ბუნებრივია, ამ ნავთობსადენს დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ღირებულება აქვს, მაგრამ ეკოლოგიური დაბინძურების საფრთხე იმდენად დიდია, რომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებსაც ჩრდილავს. ამბობენ, მილების შედუღების ხარისხი დაბალიაო, გადამოწმებისას 532-მდე ხარვეზი აღმოუჩენიათ.

**იმედა ფალავანდიშვილი, იურისტი:** — „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანს“ უდიდესი პოლიტიკური თუ ეკონომიკური წარმატების მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნისთვის. ხელისუფლება სწორედ ამიტომ წავიდა დიდ რისკზე და საქართველოს ყველაზე სუფთა ადგილებზე (ბორჯომში) გაატარა ნავთობსადენი.

**კახა მაჭავარიანი, ინჟინერი:** — „ნავთობსადენი კი არა, მამაზეციერიც ვერ გვიშველის, ისე გაგვჭედა ჩვენმა მთავრობამ. ბარაქალა მათ ვაჟკაცობას! ხალხის მოსატყუებლად ხან ნავთობსადენს გახსნიან ზეიმით, ხანაც ძეგლებს შეუცვლიან ადგილს.

**ზურაბ ავალიანი, მხატვარი:** — ეს ნავთობსადენი ეკონომიკურ სარგებლობას ვერ მოგვიტანს. რა თანხაც აქედან შემოვა, მხოლოდ და მხოლოდ მისი დაცვისთვის დაიხარჯება.

**ზურაბ მოდებაძე**

◎ ინფორმაციის კვალდაკვალ

# გერმანე ფაცაცია მშვიდობიან, ურუსეთო კავკასიაზე ოცნებობს

**გუშინწინ ლამის მთელი მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები მოიარა რუსებისთვის „სენსაციურმა“ ცნობამ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის დევნილი პრეზიდენტის აბდულ-ხალიმ საიდულაევის მიერ საქართველოში საპატიო კონსულად გერმანე ფაცაციას დანიშვნის შესახებ.**

**საპატიო კონსულები დაინიშნენ, აგრეთვე გერმანიაში — ეკკეხარდ მაასი, თურქეთში — მედეთ ონლუ.**

**რას ნიშნავს საპატიო კონსული და რისთვის იბრძვის საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, ფრაქცია „აფხაზეთის“ ერთ-ერთი ლიდერი გერმანე ფაცაცია?**

— ეს სიმბოლური თანამდებობა, — მეუბნება ბატონი გერმანე, — იმის აღიარებაა, რასაც მე 10 წელიწადზე მეტია ვაკეთებ. ჩეჩნეთში გაგანია ომის დროსაც არაერთხელ ვიყავი იჩქერიის გმირ ხალხთან. ჩემი საჯარო გამოსვლებით, პუბლიკაციებით, კავკასიური პარლამენტის შექმნის იდეით, ჩემი თეორიული და ფიზიკური შესაძლებლობებით, ურუსეთო, უიმპერიო კავკასიისთვის ვიბრძვი და, თუ კარგად ჩავუკვირდებით, ეს იდეა თითოეული გონიერი კავკასიელის (მათ შორის აფხაზისა და ოსის) გულშიც ტრიალებს. საქართველოს მოქალაქემ და იჩქერიის რესპუბლიკის წარმომადგენელმა, უფრო ზუსტად — ჩეჩნურ-ქისტური სათვისტომოს ხელმძღვანელმა ხიზრი ალდამოვმა, ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ჩემი გულწრფელი, სამშვიდობო იდეები ჩეჩენი ხალხის მიერ აღიარებული ლიდერის აბდულ-ხალიმ საიდულაევის ყურამდე მისულიყო. საპატიო კონსულობა, ვიმეორებ, ჩეჩნებთან, თითოეულ კავკასიელთან ჩემი მეგობრობის სიმბოლური ნაბიჯია. ვიდრე პირში სული მიდგას, კავკასიის ლეგიტიმური გაერთიანების საფუძველთა საფუძველზე — კავკასიური პარლამენტის შექმნის იდეის განხორციელებაზე ვიზრუნებ.



**— თანამოაზრეები თუ გყავთ?**

— ამ საშვილიშვილო იდეას მხარს უჭერს ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ყველა რესპუბლიკა, ერი და ეროვნულ-ეთნიკური წარმონაქმნი. ერთადერთი, ვინც ჯერჯერობით თავს იკავებს, სომხეთია. თუმცაღა, მათი თავშეკავებაც აბსოლუტურად გასაგებია.

**— რუსეთის გაღიზიანებას ერიდებიან, ხომ...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ რუსეთს გასაღიზიანებელი არაფერი აქვს. ის ხომ ოფიციალურად აღიარებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას... სინამდვილეში კი ფეხქვეშ თელავს პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობის საერთაშორისო ნორმებს და მიზანმიმართულად იტაცებს, შთანთქავს საქართველოს ძირძველ ტერიტორიებს... არც ჩრდილო კავკასიის ხალხებს ადგას კარგი დღე. მხოლოდ კავკასიური პარლამენტი, ყველა დაჩაგრული ერის რჩეულ წარმომადგენელთა საკრებულო თუ შეძლებს მთელი მსოფლიოს დარწმუნებას, რომ ოდენ ურუსეთოდ, უიმპერიოდ შევძლებთ უნიკალური, განუმეორებელი კავკასიის გადარჩენას, მისი არსებობის შენარჩუნებას.

**— და ამ საშვილიშვილო იდეის განხორციელებას სიმბოლური თანამდებობები და იჩქერიის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილის ახმედ ზაკაევის კონტროლი უშველის?**

— შორს არ არის ის დრო, როცა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები რუსეთს აიძულებენ, ხელი აიღონ იმპერიულ ზრახვებზე. გერმანიასა და თურქეთში კონსულების დანიშვნაც ცოტას არ ნიშნავს. ორსახოვანი რუსეთი თუ ყოვლად მიუღებელი, ცბიერი, ბინძური პოლიტიკით იბრძვის კავკასიაში გავლენის შესანარჩუნებლად, ჩვენ იმის უფლება მაინც გვაქვს, კავკასიის გადარჩენის მშვიდობიან მეთოდებზე ვიფიქროთ...

**— იფიქროთ და იმოქმედოთ კიდეც!**

— დიახ. თუნდაც კონსულების დანიშვნის თაობაზე გავრცელებულმა ინფორმაციამ რომ შეაშფოთა რუსეთი, ესეც საქმეა...

**ესაუბრა**
**სპარტაკ ქოზულია**

◎ ოპოზიცია

# რატომ უნდა დაისაჯონ დეგენერატები?

**ეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაუძინებელმა მტრებმა და დეგენერატებმა გააკეთეს, — თქვა გოგა ხაინდრავამ 20 სექტემბერს ცხინვალის დაბომბვის შემდეგ.**

**სახელმწიფო მინისტრის ეს სიტყვები მემარჯვენე ოპოზიციამ პარლამენტის დადგენილების პროექტის განხილვის დროს გაიხსენა.**

ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ნაღმტყორცნებიდან ქართულ მხარეს არ გაუსვრია და ამას რუსეთის მიერ მოწყობილ პროვკაციას უწოდებს.

მემარჯვენეები კი ფიქრობენ, რომ რამდენიმე უგუნურ ქართველში პატრიოტიზმმა გაიღვიძა და დაბომბვით სცადა, ოსებისთვის აღლუმის ჩაშლა. ფიქრია ჩიხრაძის თქმით, სწორედ ასეთ ქართველებს გულისხმობდა გოგა ხაინდრავა „დეგენერატებში“.

20 სექტემბრის შემთხვევას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტიც გამოეხმაურა, თანაც, საკმაოდ მკაცრი ტონით. ამის უფლებას აშშ-ს ის სტრატეგიული პარტნიორობა აძლევს, რომელიც მისთვისაც მნიშვნელოვანია და საქართველოსთვისაც. როცა მემარჯვენე ოპოზიციამ ხელისუფლებას დამნაშავეთა დასჯა მოსთხოვა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაც შეახსენა.

ნინო ბურჯანაძის თქმით, განცხადების მკაცრი ტონი არა საქართველოს, არამედ რუსეთს ეხებოდა. თუმცა, დოკუმენტის პირველივე აბზაცში ნათქვამია: „ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, გადადგას დაუყოვნებელი ნაბიჯები, რათა აჩვენოს თავისი ერთგულება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისადმი, უდანაშაულო სამოქალაქო პირების წინააღმდეგ მიმართული ამ გაუმართლებელი ძალადობის აქტზე პასუხისმგებელი პირების დასჯით“. ითქვა ისიც, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის ეს პოზიცია პრეზიდენტ სააკაშვილს პირადადაც გააცნო ამერიკის ელჩმა.

— ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ტყუილუბრალოდ არაფერს ამბობს. ეს ქვეყანა ისეთ გასაიდუმლოებულ ინფორმაციებსაც ფლობს, როგორიც არის, ვთქვათ, ირანსა თუ სხვაგან არსებული ბირთვული იარაღის საწყობების ადგილმდებარეობა. მათი დაზვერვის სამსახურს ისიც კარგად ეცოდინება, სინამდვილეში რა მოხდა 20 სექტემბერს, ვინ გაისროლა, — დარწმუნებულია ფიქრია ჩიხრაძე.

ჩვენი ხელისუფლება დაბეჯითებით უარყოფს ამ პროვოკაციაში ქართული მხარის მონაწილეობას. ქალბატონი ფიქრია იხსენებს, რომ თავდაპირველად ისიც კი ითქვა, ოსებმა თავადვე დაიბომბეს თავიო. აქვე ერთი პარალელი:

— წლების წინათ გენერალი გრაჩოვი და მერე სხვებიც ამბობდნენ, რომ აფხაზეთის ომის დროს ჩვენ თავადვე ვბომბავდით საკუთარ მოსახლეობას რუსულად გადაღებილი თვითმფრინავებით.



მემარჯვენეთა ერთ-ერთი ლიდერის თქმით, ქართულ-ოსური ურთიერთობა ბევრად გაუარესებული იყო 20 სექტემბრის შემთხვევამდეც, „შარშანდელი ზაფხულის ავანტიურის“ შემდეგ. ყოველი ახალი „გამოხდომა“ კი ვითარებას უფრო და უფრო ამძიმეს.

თუ 20 სექტემბერს პროვოკაციის ავტორ-შემსრულებელი მართლაც რუსეთია, მაშინ დამნაშავეთა დასასჯელად ერთი გზა რჩებოდა — რუსი სამშვიდობოების გაყვანის კატეგორიული მოთხოვნა და არა დროის გაჭიანურება. გუშინწინ მიღებულ დადგენილებაში ოპოზიციამ სწორედ ეს სიმკაცრე და კატეგორიულობა ვერ დაინახა. მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ ორი კურდღლის მადევარნი ვართ, არც დიდი მეგობრის განაწყენება გვსურს, არც — დიდი მეზობლის.

— ყოველთვის ასე იყო. ედუარდ შევარდნაძეს ყველანი ვუწუნებდით დაბალანსების პოლიტიკას. მაგრამ მისი პოლიტიკა იმას მაინც ნიშნავდა, რომ არც ერთ მხარესთან არ ამწვავებდა ურთიერთობას, ახლა კი აქეთაც ვამწვავებთ და — იქითაც. მიხეილ სააკაშვილი ადრე პუტინის მზეს იფიცებდა, შემდეგ ის ყველაზე დიდ მტრად მიიჩნია, ახლა კი კვლავ სურს მასთან დამეგობრება.

საქართველო პატარა ქვეყანაა, ამდენად, ის პოლიტიკის განმსაზღვრელი ვერ იქნება, მაგრამ სერიოზული და ღირსეული მოთამაშე უნდა იყოს. თუ ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე, ამერიკის შეერთებული შტატები დაინახავს, რომ ჩვენ მის მართებულ რჩევებს არ ვითვალისწინებთ და შეცდომას შეცდომაზე ვუშვებთ, ჩვენზე ხელს ჩაიქნევს, — ამბობს ფიქრია ჩიხრაძე.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა თავის განცხადებაში რუსეთსაც მიმართა და მოუწოდა, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებით, თავი შეიკავოს ულიარებელი სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის მხარდაჭერისაგან“. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რამდენად შეიძლება გვქონდეს რუსეთის იმედი. მემარჯვენა ოპოზიციას იმისაც ნაკლებად სჯერა, რომ ხელისუფლება 20 სექტემბრის ინციდენტს გამოიძიებს და პროვოკატორებსა თუ უგუნურ დამნაშავეებს დასჯის.

**რუსუდან გახარია**

◎ ბრალდება

# გაერიდეთ, ფარული ანტენაა!

**11 ოქტომბერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატის გია თორთლაძის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ ხმაური თვითონ მისივე პარტიაში გამოიწვია.**

**პარლამენტარმა და ალპინისტმა თორთლაძემ მობილური კავშირგაბმულობის კომპანია „მაგთი ჯიესემი“ დარღვევებში ამხილა. მისი განცხადებით, „მაგთიკომს“ ე. წ. „ლევი“ ანტენები აქვს დაყენებული, რომელიც ჯანმრთელობისთვის საზიანო ნივთიერებებს გამოასხივებს.**

სწორედ ამ განცხადებისთვის შემოსწყრნენ თორთლაძეს „ნაციონალი“ კოლეგები.

„სანამ ამ საკითხს არ შევისწავლიდით და ნათელს არ მოვფენდით, ეს განცხადება არ უნდა გაგვეკეთებინაო“, — უსაყვედურეს მთაწმინდის მაჟორიტარს.

ამ განცხადებასთან დაკავშირებით გია თორთლაძეს ტელეფონით დავუკავშირდი, მაგრამ როგორც ჩანს, თანაპარტიელთაგან გვარიანად შეფუცხუნებულმა ასე მითხრა:

— ამ საკითხთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნას ვაპირებთ და სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, კომენტარს აღარ გავაკეთებო.

აღსანიშნავია, რომ თორთლაძემ პარლამენტში გამოსვლისას „მაგთის“ ხელმძღვანელობასთან ერთად, ბრალი იმ ორგანიზაციასაც დასდო, რომელსაც მობილური კავშირის ანტენების კონტროლი ევალება. „მაგთიკომიდან“ ხელფასებს იღებენ და ამიტომ დარღვევებს ჩქმალავენო, — განაცხადა.

დეპუტატისგან კომენტარზე უარის მიღების შემდეგ „მაგთიკომის“ წარმომადგენელსაც დავუკავშირდი და პარლამენტარის ბრალდებაზე მათი პოზიციის გარკვევა ვცადე.

პასუხი საოცარი იყო: „ეს განცხადება არ მოგვისმენია, საქმის კურსში არ ვართ და ვერაფერს გეტყვითო“.

ცოტა არ იყოს, გამიკვირდა: უცნაურია, დეპუტატი საპარლამენტო ტრიბუნიდან საკმაოდ მძიმე ბრალდებას უყენებს კომპანიას, მისი ხელმძღვანელობა კი ბაიბურშიც არ არის.

ეს ბრალდება პირდაპირ ურტყამს „მაგთიკომის“ პრესტიჟს, ამიტომ მათი მხრიდან კომენტარის გაკეთება უფრო ეგების, ვიდრე თავის არიდება.

ისე, თუ თორთლაძის ბრალდება საფუძვლიანია, არ გვგონია, „მაგთი ჯიესემი“ ისევე წარმატებულად „გამოძვრეს“ ამ საქმიდან, რა წარმატებითაც თავის მონობარათებს ყიდის.

**ჯაბა ხუბუა**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართული მხარე აფხაზეთის რკინიგზის ამუშავებას დათანხმდა

**ეს ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა სომხეთის პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა, თავდაცვის მინისტრმა სერჟ სარქისიანმა.**

მინისტრის თქმით, რუსეთის მხარე ამჟამად ახორციელებს სარემონტო-აღდგენით სამუშაოებს, რის შემდეგაც რკინიგზა დაიწყებს ფუნქციონირებას.

აღვნიშნავთ, რომ სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის არტურ ბაღდასარიანის და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის შეხვედრის დროს ითქვა, რომ რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის ამოქმედების საკითხში ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები, რომელთა გადაჭრასაც ხელს შეუწყობს რუსეთის, საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენელთა სამმხრივი შეხვედრა. ამასთან, არტურ ბაღდასარიანის თქმით, იგი აპირებს ამ საკითხის განხილვას კავკასიის ოთხეულის მომავალ შეხვედრაზე რუსეთის და საქართველოს პარლამენტების მეთაურებთან ერთად, რადგან, ამ რკინიგზის ამოქმედებას სომხეთისთვის საარსებო მნიშვნელობა ენიჭება.

REGNUM

◎ კანონმდებლები

## სხდომა ჟურნალისტებისთვის 10 წუთით დახურა

**პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ კვორუმის უქონლობის გამო პარლამენტის პლენარული სხდომა ჟურნალისტებისთვის 10 წუთით დახურა.**

მან ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც დილის 11 საათისთვის კვორუმი არ შედგა. სხდომაზე 117 ხმა დაფიქსირდა, კვორუმის შეგროვებას ერთი დეპუტატი დააკლდა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ დახურულ კარს მიღმა აღნიშნა, მას აღარ სურს მოისმინოს ოპოზიციის საყვედურები დარბაზში კვორუმის არარსებობასა და დეპუტატების დაგვიანებებთან დაკავშირებით, საყვედური გამოუცხადა იმ დეპუტატებს, რომლებიც პარლამენტის პლენარულ სხდომას არ ესწრებოდნენ.

დეპუტატებს, რომლებიც სიის ამოკითხვისას დარბაზში არ აღმოჩდნენ, ხელფასიდან შესაბამისი თანხა აუცილებლად დაექვითებათ, რომელიც პარლამენტის ბიუჯეტში გადავა.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, იგი ვერ მოითმენს, ოპოზიციის განცხადებები მოისმინოს ცარიელი დარბაზის თაობაზე.

პარლამეტის თავმჯდომარემ ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული საყვედური გუშინწინდელ პლენარულ სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების გამო მამუკა კაციტაძეს განუცხადა.

პარლამენტის თავმჯდომარის საყვედურების



მოსმენის შემდეგ, ჟურნალისტებისთვის პლენარული სხდომა გახსნილად გამოცხადდა, რის შემდეგაც პარლამენტში კვორუმი შედგა და შესაბამისი კენჭისყრები მოეწყო.

## პარლამენტს კორექტირებული ბიუჯეტი წარუდგინეს

**ფინანსთა სამინისტრომ საბიუჯეტო ცვლილების პარლამენტში პირველად განხილვის შემდეგ გამოთქმული შენიშვნები გაითვალისწინა და პარლამენტს კორექტირებული ბიუჯეტი წარუდგინა.**

2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების პარამეტრი 26 მილიონი ლარით იზრდება, თუმცა საგადასახადო შემოსავლების სხვადასხვა წყაროს მიხედვით კორექტირება იგეგმება. კერძოდ, აქციზიდან მისაღები შემოსავლების გეგმა 24 მილიონი ლარით შემცირდება, 16 მილიონი ლარით მოიკლებს არასაგადასახადო შემოსავლების პარამეტრი. ამის პარალელურად 41 მილიონი ლარით გაიზრდება სოციალური გადასახადის პარამეტრი, ხოლო 41 მილიონი ლარით დამატებული ღირებულების გადასახადის პარამეტრი. 15,2 მილიონი ლარით მცირდება გრანტების პარამეტრი.

## მიხეილ მაჭავარიანის მკაცრი განცხადება

**საქართველოს ხელისუფლებას საგარეო საქმეთა სამინისტრო პრობლემებს უქმნის.**

**ეს განცხადება გუშინ პლენარულ სხდომაზე პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა გააკეთა.**

მაჭავარიანის განცხადებით, დღემდე არ არის საქართველოს პარლამენტში შესული ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო-კონვენცია, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პარლამენტში უნდა წარმოედგინა და რომლის რატიფიკაციის ვალდებულება პარლამენტმა ევროსაბჭოს წინაშე აიღო.

როგორც მაჭავარიანი აცხადებს, ევროსაბჭოს წინაშე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულება პირველ სექტემბრამდე უნდა შესრულებულიყო. აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, შესაძლოა, საქართველოს ევროსაბჭომ გარკვეული სანქციებიც დაუწესოს.

დეპუტატები აღშფოთდნენ.

## პროექტი ყველა ფერმერისთვის ხელმისაწვდომი იქნება

**გუშინ პარლამენტის პლენარულმა სხდომამ განიხილა სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის შესახებ მსოფლიო ბანკთან და გაეროს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულება. პარლამენტმა აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიცირება უნდა მოახდინოს.**

როგორც სხდომაზე გამოსვლის დროს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ხევიაშვილმა აღნიშნა, სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი ყველა ფერმერისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და უნდა ამოიფხვრას აქამდე არსებული ფაქტები კრედიტების სატელეფონო ზარებით განაწილების შესახებ.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი ითვალისწინებს კომერციული ბანკების მეშვეობით სოფლის მეურნეობის სექტორის დაკრედიტებას. საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა, მათ შორის მსოფლიო ბანკმა, გაეროს განვითარების საერთაშორისო ფონდმა, იაპონიის მთავრობამ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის 35 მილიონი დოლარი გამოყვეს.

**ინტერპრესნიუსი**

◎ შევნიშნეთ, ვასწორებთ

„საქართველოს რესპუბლიკის“ 11 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული მასალის „ექიმების შეცდომამ 13 წლის ბიჭის სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო“ პირველ გვერდზე გამოტანილი ამონარიდის პირველი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: **„დასტაქრებმა 13 წლის მოზარდი იმდენჯერ გაჭრეს“...** შემდეგ — როგორც ტექსტშია.

ამავე გაზეთის 12 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული მასალის „მოთმინებითა თქვენითა!“ პირველ გვერდზე გამოტანილი ამონარიდის პირველი ორი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: **„ქვეყნისთვის ნაომარ, დამაშვრალ და დამსახურებულ ადამიანებს“...** შემდეგ — როგორც ტექსტშია.

***შეცდომებისთვის მკითხველს ბოდიშს ვუხდით.***

**„სრ“ რედაქცია“.**

საქართველოს რესპუბლიკა

№ 237, ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი, 2005 წელი.



⊙ სტიქია

# დაზარალებულთ კომპენსაცია მიეცემათ, ამის სახსრები მთავრობას აქვს,

## ამბობს მთავრობის კანცელარიის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი ჯამბულ ბაკურაძე

**მთავრობის** კანცელარიის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი **ჯამბულ ბაკურაძე** უარყოფს მასმედიით გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გურიაში მომხდარი სტიქიური უბედურება წინასწარ იყო ცნობილი. „მედიას ჰგონია, თითქოს ვიღაც მოვიდა და გვითხრა, ამა და ამ დროს იქნება სტიქიური უბედურებაო. ასეთი ინფორმაცია არ ყოფილა. ამის შესახებ რომ მცოდნოდა, ვალდებული ვიყავი პრემიერ-მინისტრი და მთავრობა საქმის კურსში ჩამეყენებინა“.




ჯამბულ ბაკურაძე მართებულად არ მიიჩნევს არც იმ ინფორმაციას, რომ სტიქიის ეს შემოტევა ზაფხულისას გაცილებით აღემატებოდა. **„ეს მოვლენები შედარებით უმნიშვნელო იყო. მსხვერპლი რომ არა, ვიტყოდი, რომ ბევრი არაფერი მომხდარა. ჩოხატაურის რაიონში ჩამოწოლილ მეწყერს ცუდ ამინდთან საერთო არაფერი ჰქონდა. ის მეწყერიც ადამიანების ბრალია. ერთი პატარა სოფელია და მთაზე ხე აღარ იყო დარჩენილი, სულ გაჩეხეს.**

**ზედიზედ მოსულ სამდღიან წვიმებს ყოველთვის მოჰყვება მდინარის ადიდება, ღვარცოფი, მთიდან ქანების ჩამოდენა. ახლა ეს უნდა გაიწმინდოს. საპანიკო არაფერია. სამწუხაროდ, მსხვერპლი მაინც მოჰყვა სტიქიას: ერთი ადამიანი მეწყერში დაიღუპა, მეორემ ფაქტობრივად, თავი ძალით მოიკლა: ადიდებულ მდინარეში შეშას ეძებდა და... წყალმა წაიღო“.**

რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსის თქმით, ზარალიც უმნიშვნელოა, რადგან „ზარალად“ არ ჩაითვლება, ვთქვათ, ფოთში, საცხოვრებელი სახლების პირველ სართულებზე შევარდნილი წყალი. **„ასეთი რამ წვიმების შედეგად ფოთში წელიწადში ოცჯერ მაინც ხდება. წვიმა მოვა თუ არა, სარდაფში ყველგან წყალი შედის. ამჟამად სახლები დასუფთავებულია“.**

რაც შეეხება ჭალადიდში მომხდარ დატბორვას, ბატონ ჯამბულ ბაკურაძის განმარტებით, ეს სოფელი ყოველწლიურად, წვიმების მოსვლის შემდეგ იტბორება. ასე რომ, საგანგაშოს ვერც ამ ფაქტში ხედავს.

ჯ. ბაკურაძეს საკუთარი თვალით უნახავს ოზურგეთიდან შვიდიოდე კილომეტრის მოშორებით, ცხემლისხიდთან, მდინარე ნატანების მიერ დანგრეული ჯებირი: **„წყალი რაიონულ ცენტრში დაგუბდა, მაგრამ ღამე გაიწოვა. ნაპირსამაგრი სამუშაოების შემდეგ საშიში აღარაფერი იქნება“.**

ასე რომ, მთავრობის კანცელარიის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი ჯამბულ ბაკურაძე გურიაში მომხდარ სტიქიაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. მისი თქმით, ის, რაც ზაფხულში ლენტეხში მოხდა, ამ ნგრევას ვერც კი შეედრება თავისი მასშტაბით. ლენტეხის გზების 80 პროცენტიდან მხოლოდ ფრაგმენტებილა იყო დარჩენილი, იქ ახლაღა დაუსრულებიათ გზების აღდგენა.

რაც შეეხება მეწყერის ჩამოწოლის შედეგად მიღებულ ზარალს, ჯამბულ ბაკურაძის თქმით, სამიოდე სახლია დანგრეული. **„მთლიანი ზარალი ჯერჯერობით დგინდება. რაიონების გამგებლები დამირეკავენ, რამდენ სახლში არ შეიძლება ცხოვრება. ასეთ ოჯახებს კომპენსაცია მიეცემათ. საამისოდ საკმარისი ფინანსური სახსრები მთავრობას, საბედნიეროდ, აქვს“.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

**რედაქციისაგან:** მომხდარი ნებისმიერი სტიქიისა თუ ტრაგედიის შემდეგ ზედმეტი ვაი-ვიში და პანიკა სარგებელს რომ ვერ მოიტანს, ფაქტია. თუმცა ისიც აქსიომური ჭეშმარიტებაა, რომ არც ვითარების მეტისმეტი „გაუბრალოება“ დაგვაყენებს ხეირს სამომავლოდ.

ამით არავის, მით უფრო, ხელისუფლებას, სულაც არ ვამუნათებთ: მან საკმაოდ მოკლე დროში მართლაც ბევრი რამ გააკეთა და ყველაფერს რადიკალურად, ჩვენდა სასიკეთოდ, ცხადია, ვერ შეცვლიდა.

ამას არც არავინ ითხოვს, მაგრამ ნურც ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენელი მოისურვებს, რომ შეიძლება ასე ითქვას, მასმედიას ხელის შეწმენდას. რა მასმედიის ბრალია, თუ მავანი სპეციალისტი ტელევიზიით იტყვის, მოსალოდნელი სტიქიის შესახებ ხელისუფლებას წინასწარ შევატყობინეთო.

**— არაო, ასეთი ინფორმაცია არ ყოფილაო, თორემო, ეს რომ მცოდნოდა, ვალდებული ვიყავი, პრემიერ-მინისტრი და მთავრობა საქმის კურსში ჩამეყენებინაო, — ამტკიცებს ბატონი ჯამბული (სხვათა შორის, „საქჰიდრომეტცენტრში“ გუშინაც დავრეკეთ და გვითხრეს, სტიქიამდე რამდენიმე დღით ადრე საქმის კურსში ჩავაყენეთ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებიო).**

— ნაპირსამაგრი სამუშაოების შემდეგ საშიში არაფერი იქნებაო, — გვამშვიდებს რეგიონალური სამსახურის უფროსი.

მერე ალბათ მართლაც არაფერი იქნება საშიში, მაგრამ მანამდე? **სწორედ სათანადო სამუშაოების შეუსრულებლობის (ნაპირსამაგრი იქნება ეს, მდინარეთა კალაპოტების გაწმენდის თუ გამაგრების და ა. შ.) გამოა, შავი ზღვა სულ უფრო მეტად რომ იტაცებს მიწებს ფოთში თუ სხვაგან, რომ იგივე ფოთში, ე. წ. მეშვიდე კილომეტრზე მდებარე ჰიდრონაგებობას კატასტროფა ელოდება, რომ იტბორება ქალაქებისა თუ რაიონული ცენტრების ქუჩები და სხვა.**

კიდევ ვიმეორებთ: სასწაულებს, თანაც ასეთ მოკლე დროში, ხელისუფლებისგან არც ველით და არც მოვითხოვთ, მაგრამ არც ზედმეტი თვითდამშვიდება თუ გაღიზიანება მართებთ მის წარმომადგენლებს.

ბატონ ჯამბულ ბაკურაძეს ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა, სხვათა შორის, წლევანდელ ზაფხულში მომხდარ სტიქიასთან დაკავშირებითაც სთხოვა ინტერვიუ, რომელიც 17 ივნისის ნომერში გამოვაქვეყნეთ სათაურით **„მთელ საქართველოს ქოლგას ვერ გადააფარებ“.**

**„წლევანდელმა სტიქიამ ძალზე დიდი ზარალი მოგვაყენა,** — აღნიშნა მაშინ ბატონმა ჯამბულმა. — შეიძლება ითქვას, რომ მან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კონცეფციას ხელი შეუშალა“.

„— **ბატონო ჯამბულ,** — ჰკითხა ჩვენმა კორესპონდენტმა, — **ოპონენტები ამბობენ, რომ მთავრობას წინასწარ უნდა მიეღო ზომები მოსალოდნელი სტიქიისაგან დაცვის გასაძლიერებლად, უნდა ცდილიყო, რომ** [illegible] **საბოლოოდ თავის „სიტყვას“ იტყოდა.**

— **სისულელეა,** — მაშინვე კატეგორიული იყო ბატონი ჯამბული.

— **როგორ უნდა მიეღო?** [illegible] **რებს ვენახებს...“ (?!).**




ბაბილის მთისა რა მოგახსენოთ, ბატონო ჯამბულ, მაგრამ თუნდაც დურუჯის კალაპოტის გაწმენდა, იქ სათანადო სამუშაოების ჩატარება და, ამ გზით, ყვარლის თავზე დამოკლეს მახვილივით შემართული დამანგრეველი საფრთხის აცილება რომ შეიძლება და აუცილებელიც არის, ფაქტია (წლეულსაც, ღვთისა და ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატის ნანა პატარკაციშვილის წყალობით, ჯერჯერობით, საშიშროება ავიცილეთ).

რაც შეეხება **„ქოლგის შეკერვას“** და **„ვენახებისთვის ბადის გადაფარებას“**, არც ესაა ირონიის თემა. ვგონებ, უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ სეტყვისგან ვენახების დასაცავ ბადეებს უკვე დიდი ხანია იყენებენ იტალიაში, საფრანგეთსა თუ ტრადიციული მევენახეობის სხვა ქვეყნებში. თუმცა უცხოეთი რად გვინდა, როდესაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ცნობილი მეცნიერის ელგუჯა მეძმარიაშვილის ლაბორატორიაში დამუშავდა ამგვარი დამცავი ბადეებიც და მათი მუშაობის მექანიზმიც.

**ასე რომ, ოღონდ მონდომება, ხელისუფლების ნება და სახსრები იყოს, თორემ ეს პრობლემაც მოიხსნებოდა.**

ამას კი გამიზნული, გეგმაზომიერი მუშაობა სჭირდება და არა გაღიზიანება თუ ფაქტ-ფაქტი. არც ძველი გამოცდილების გაზიარება გვაწყენდა: განა ყველაფერი, რაც ძველია, უარსაყოფი და დასაწუნია!

რის გამო მოგახსენებთ ამას? ჯერ კიდევ წლევანდელი ზაფხულის სტიქიურ უბედურებამდე ლამის ერთი თვით ადრე, 25 მაისს, ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა დოქტორ მეცნიერების კანდიდატის, საქართველოს დამსახურებული მშენებლის რევაზ ტყემალაძის წერილი **„ტრაგედია, რომელიც არ უნდა მოხდეს“.**

მასში საუბარი იყო იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვან და დადებით როლს ასრულებდა მთავრობის აპარატში შექმნილი საგანგებო სიტუაციების მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც რატომღაც გააუქმეს. დასკვნის სახით წერილის ავტორი წერდა:

**„დღეს ქვეყანაში მოძალებულ სტიქიურ მოვლენებს და მათი შედეგების ლიკვიდაციის განგრძლივებულ სამუშაოებს რომ ვადევნებ თვალს, ძალაუნებურად მახსენდება დასახელებული კომისიის ეფექტური საქმიანობა და, ვფიქრობ, კვლავ ხომ არ შეგვექმნა იგი, ნაცვლად ყოველ ცალკეულ მოვლენასთან დაკავშირებით ორგანიზებული კომისიებისა, რომელთა მუშაობა ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს?“**

კარგია, რომ ბოლო სტიქიური მოვლენების შემდეგ ამგვარი აზრი ცალკეულ დეპუტატებსაც გაუჩნდათ და იგი პარლამენტშიც ითქვა. კიდევ უფრო კარგი იქნება, თუ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ამ ჩანაფიქრს საქმედ აქცევს.

⊙ განგაში

# საქართველოს მეცნიერებათა აკადემია იწვევს თავისი უმაღლესი ორგანოს — საერთო კრების სხდომას

## საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება პროტესტს აცხადებს

**12 ოქტომბერს შედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელმაც მოისმინა 2005 წლის მუშაობის ანგარიში და იმსჯელა აკადემიის რეფორმებისა და მეცნიერებათა აკადემიის 2006 წლის ბიუჯეტის პროექტის თაობაზე.**

შესავალ სიტყვაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია უნდა იყოს არა „მეცნიერთა ასოციაცია“ თუ „სტიპენდიატთა კლუბი“, არამედ ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევათა ერთიანი ეროვნული ცენტრი, საბაზისო დაფინანსებაზე დაფუძნებული კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების დამოუკიდებელი, ავტონომიური ერთობლიობა, ქვეყნის პრეზიდენტის პატრონატის ქვეშ მყოფი უმაღლესი სახელმწიფო ორგანო მეცნიერების დარგში. სწორედ ასეთი ვითარებაა მეცნიერებათა აკადემიების შემთხვევაში ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში, სწორედ ასეთი სტატუსი აქვს მეცნიერებათა აკადემიას ავსტრიაში, უნგრეთში, პოლონეთში, რუსეთსა და უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში; განსხვავებული სახელწოდებით — გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში... ყველა ამ სამეცნიერო დაწესებულებასთან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას მჭიდრო სამეცნიერო კავშირები და ურთიერთობა აქვს... საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გაახალგაზრდავების მიზნით სასურველია აკადემიის შევსება და 2006 წელს ახალი არჩევნების გამოცხადება.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II აღნიშნა, რომ მეცნიერების, განათლებისა და სულიერების გარეშე ქვეყნის შემდგომი წინსვლა წარმოუდგენელია. მან მხარი დაუჭირა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენარჩუნებას, როგორც ერთიანი ეროვნული სამეცნიერო ცენტრისა ქვეყნის პრეზიდენტის პატრონატით.

აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის უმაღლესი საპატიო ჯილდო (ვერცხლის ხატი დავით აღმაშენებლის და გელათის აკადემიის გამოსახულებით) მიანიჭა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II და საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს.



ჯილდო საზეიმო ვითარებაში გადაეცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II.

აკადემიის საერთო კრებამ მოიწვია საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შესახვედრად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება:

**1. ეთხოვოს ქვეყნის პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს და მთავრობას, რათა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას 2006 წელს საბიუჯეტო დაფინანსება გამოეყოს ცალკე სტრიქონით იმავე წესით და ისეთივე მოცულობით, როგორც 2005 წელს.**

**2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება გამოთქვამს მტკიცე პროტესტს იმ დისკრიმინაციული ღონისძიებების წინააღმდეგ, რომლებიც ხორციელდება აკადემიის სამეცნიერო ინსტიტუტების მიმართ და საზოგადოდ იმ პიარკამპანიის წინააღმდეგ, რომელიც ამ ბოლო დროს პერმანენტულად ტარდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მისამართით.**

⊙ რეპლიკა

# რატომ გადადგა ონოფრიშვილი?

**ღმერთმა** უწყის. თავად ონოფრიშვილი ცხრაკლიტულში გამოიკეტა, სახელმწიფო კანცელარიასა და „საქართველოს რკინიგზაში“ კი პირზე ბოქლომები დაიდეს, რათა ინფორმაციამ მჭიდროდ დაგმანული კედლებიდან არ გაჟონოს.

ერთადერთი, რაც შევძელით ის იყო, რომ ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში „ინტერპრესნიუსის“ მოკლე, თითქმის არაფრისმთქმელი ინფორმაცია გამოვაქვეყნეთ: „საქართველოს რკინიგზის შეფი დავით ონოფრიშვილი საკუთარი განცხადების საფუძველზე გადადგა. გადადგომის კონკრეტული მიზეზები ჯერჯერობით გაურკვეველია“.

„ინტერპრესნიუსმა“ მეორე დღის 12 საათისთვის მხოლოდ იმის დადგენა შეძლო, რომ „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს ამ დროისათვის დავით ონოფრიშვილის განცხადება გენერალური დირექტორის პოსტიდან წასვლის შესახებ არ დაუკმაყოფილებია“.

ასეთი ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში, ბუნებრივია, გაჩნდა კითხვები: რატომ გადადგა დავით ონოფრიშვილი? იმიტომ ხომ არა, რომ ფინანსურმა პოლიციამ იქ დიდი დარღვევები აღმოაჩინა? ვის უპირებენ ქვეყნის რკინიგზის გათავკაცებას? და არა მარტო ეს კითხვები, რომელთა ირგვლივ დუმილმაც რედაქციაში მრავალ მკითხველს დაარეკინა.

გადავწყვიტეთ დახმარებისათვის „საქართველოს რკინიგზის“ პრესსამსახურს დავკავშირებოდით.

— ალო, გისმენთ, — გაისმა ყურმილში ქალბატონის ხმა.

— გთხოვთ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან დაგვალაპარაკოთ.

— თავმჯდომარე არ გახლავთ.

— მაშინ მოადგილესთან.

— არც მოადგილეა.

— ტელეფონი მაინც მოგვეცით და თავად დავუკავშირდებით.

— ვერც ტელეფონს მოგცემთ.

— რატომ?

— სიტუაციაა ასეთი, ჩვენგან ვერაფერს გაიგებთ.

— რატომ, ბატონო, პრესსამსახური ხომ იმისთვის არსებობს, რომ პრესას მოსახლეობისთვის სწორი ინფორმაციის მოწოდებაში დაეხმაროს?

— ვერაფერს მოგცემთ, მორჩა და გათავდა... და ყურმილი დაკიდა.

აი ასე, მსოფლიოში აღიარებულ დემოკრატიულ საქართველოში რიგითი მოქალაქე კი არა, ჟურნალისტიც ობიექტურ ინფორმაციას ვერ მოიპოვებს. ეს მარტო რკინიგზის პრესსამსახურს რომ ეხებოდეს, კიდევ რა უჭირდა. ამას წინათ მეტროში ღამით მიმდინარე სამუშაოების გაშუქება გვინდოდა და იქაურ ბიუროკრატიას ამის თაობაზე ინფორმაცია ვერა და ვერ „გამოვტყუეთ“.

გაუგებარია, ძალიან გაუგებარი. საწარმო-ორგანიზაციებში ნუთუ პრესსამსახურები მხოლოდ იმიტომ არსებობენ, რომ საზოგადოებას ინფორმაცია საგულდაგულოდ დაუმალონ და მხოლოდ ის გამოამზეურონ, რაც მათ უფროსობას გულს მოუფონებს?!

ვაი, ასეთ დემოკრატიას და გამჭვირვალობას!

**ოთარ ხუციშვილი**

⊙ პროექტი

# საზოგადოებრივი მოძრაობის „საქართველოში მეცნიერებისა და განათლების გადარჩენისათვის“

# დეკლარაცია

**თანამედროვე** სამყაროში მეცნიერება, როგორც კულტურის ფენომენი, წარმოადგენს საზოგადოების უმაღლეს ღირებულებათა სისტემისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ცივილიზებულ ქვეყნებთან რამდენადმე მაინც ჰარმონიული, კონკურენტუნარიანი თანაარსებობა შეუძლებელია მეცნიერული აზროვნების კულტურის გარეშე, განათლებისა და მეცნიერების განვითარების გარეშე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებისა და განათლების გამართული სისტემის შექმნა საქართველოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეა.

ამ საუკუნის დასაწყისში (ლისაბონი — 2000 წ. და ბარსელონა — 2002 წ.) ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციებს იმის შესახებ, რომ 2010 წლისთვის ევროპაში ინტეგრაციული პროცესები მთლიანად მეცნიერულ ცოდნაზე უნდა დაფუძნდეს. ეს გარემოება და ევროპულ სახლში დამკვიდრების სურვილი ჩვენგან მოითხოვს, პირველ რიგში, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების სისტემურ გარდაქმნას, მათი ნორმალური საქმიანობისთვის აუცილებელი პირობების შექმნას და არა განათლებისა და მეცნიერების ნგრევას.

უნდა გვახსოვდეს, რომ თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ საკმაოდ მოკლე დროში საქართველოში მოხერხდა საერთაშორისო დონის სამეცნიერო სკოლების ჩამოყალიბება, რომლებსაც ჩვენი უახლესი ისტორიის უმძიმეს პირობებშიც კი არ დაუთმიათ მოწინავე პოზიციები. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ ხელისუფლება სათანადო პოლიტიკურ ნებას გამოიჩენს, საქართველო ასევე მოკლე დროში შეძლებს განათლებისა და მეცნიერების სფეროში ახალი წარმატებების მიღწევასა და ევროპულ თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის მოპოვებას.

ერთ წელზე მეტია, რაც საქართველოს ხელისუფლება, ევროპის აკადემიურ სივრცეში ინტეგრირების საბაბით, მიზანმიმართულად ანგრევს პროფესიონალ მეცნიერთა და პედაგოგთა მრავალი თაობის ძალისხმევით ჩამოყალიბებულ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონმა, რომელიც საქართველოს პარლამენტმა გასული წლის მიწურულში მიიღო, შეუწყვიტა რა საბაზო დაფინანსება, ფაქტობრივად გააუქმა ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტები, — კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, — როგორც სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები. **ჩვენმა კანონმდებლებმა ცინიკურად უგულებელყვეს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების წესი, რაც დაკანონებულია როგორც ევროკავშირის ძველ, მათ შორის დამფუძნებელ (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია...), ისე ამ კავშირში ახალგაწევრიანებულ ქვეყნებში (ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი). ამით მათ ჩვენს უნივერსიტეტებს, არსებითად, წაართვეს ევროპის აკადემიურ სივრცეში ინტეგრირების პერსპექტივა, ჩვენს ახალგაზრდობას კი — საკუთარ სამშობლოში სრულფასოვანი საუნივერსიტეტო განათლების მიღების საშუალება.**

**ჩვენდა სამარცხვინოდ, ზემოხსენებულ კანონში უნივერსიტეტების აკადემიური თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპიც კი არის იგნორირებული** — ე. წ. გარდამავალ პერიოდში დაკანონებულია სამეცნიერო საბჭოების დაშლა და უნივერსიტეტების ერთპიროვნული მართვა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დანიშნული რექტორის მოვალეობის შემსრულებელთა მიერ. ასეთ პირობებში, ფაქტობრივად, ხდება მაღალი კვალიფიკაციისა და მაღალი ზნეობის მრავალი პროფესორის ჩანაცვლება „ვარდისფერი პროფესორებით“, ანუ ისეთი პირებით, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში „მოღვაწეობის“ გარკვეული გამოცდილება და იმის უნარი, რომ მეცნიერობანას თამაში მეცნიერულ მუშაობად გაასაღონ.

**ქვეყნის ხელისუფლებამ განუსაზღვრელი ვადით გადასწია „მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედება, რითაც მათხოვრული არსებობისთვის გაწირა ყველა პატიოსანი მეცნიერი და პედაგოგი, აქედან გამომდინარე, გაააქტიურა ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის დამანგრეველი პროცესი „ტვინების გადინებისა“.**

ასეთ ვითარებაში საქართველოს მთავრობა ხელისუფლების დერეფნებში გაშინაურებულ პირთა გარკვეულ ჯგუფთან ერთად საკმაოდ აქტიურად და „არცთუ წარუმატებლად“ ეწევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დისკრედიტაციის კამპანიას მისი ფაქტობრივი ლიკვიდაციის მიზნით. **განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მაღალჩინოსნები არც მალავენ, რომ მათ განზრახული აქვთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან კვლევითი ინსტიტუტების გამოყვანა და მათთვის საბაზო დაფინანსების შეწყვეტა, რასაც ფაქტობრივად მოჰყვება ამ ინსტიტუტების გაუქმება, საქვეყნოდ ცნობილი სამეცნიერო სკოლების ნგრევა და აღიარებულ მკვლევართა ქუჩაში გასტუმრება.**

მეცნიერებმა ჩინოვნიკებზე გაცილებით ადრე და უკეთ იცოდნენ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია საჭიროებდა ძირეულ გარდაქმნას, გარდაქმნას და არა დანგრევას, რასაც „რეფორმატორები“ ახორციელებენ. 2003 წელს მეცნიერების მიერ შემუშავებული და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სანიმუშო წესდება“ და „სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ატესტაციის დებულება“ მნიშვნელოვანი რეფორმატორული დოკუმენტებია. **საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია, რომ 2004 წელს მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რეფორმის კონცეფცია და განსახილველად წარუდგინა მეცნიერების რეორგანიზაციისთვის შექმნილ სამთავრობო კომისიას. სამწუხაროდ, ეს კომისია საერთოდ არ შეკრებილა და, როგორც ჩანს, უკვე გაუქმებულიცაა. ხელისუფლება არათუ მეცნიერებთან კონსტრუქციულ დიალოგზე აცხადებს უარს, არამედ მეცნიერებათა აკადემიის მომავლის შესახებ თვით ერის სულიერი მამის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II მოსაზრებებსაც კი არ ითვალისწინებს და ღია წერილს, რომელსაც იგი აწერს ხელს, აბსოლუტურად უყურადღებოდ ტოვებს.**

**ცხადია, რომ ქვეყანას საბედისწერო ჟამი დაუდგა: ინგრევა ქართული მეცნიერება, უნივერსიტეტი, საშუალო სკოლაში სწავლისა და სწავლების ფუნდამენტური პრინციპი. სულ მალე აღარც ღირსეული მეცნიერება გვექნება, აღარც ფუნდამენტური საუნივერსიტეტო განათლება და აღარც სულიერად ჯანმრთელი ახალგაზრდობა გვეყოლება. ეს უკვე შორდება საკუთრივ აკადემიის ან საკუთრივ უნივერსიტეტის, ანდა თუნდაც საკუთრივ საშუალო სკოლის ფარგლებს. ესაა მთელი ქვეყნის, ყოველი კეთილი ნების მოქალაქის, საფიქრალი. თუ ჩვენ შევურიგდებით საყოველთაო ღირსების დამდაბლებას და დაცემას, მაშინ ღირსნი ვყოფილვართ ყოველივე ამისა. ყველამ, მთელმა საზოგადოებამ, უნდა გააცნობიეროს, რომ პასუხისმგებელია არა მხოლოდ დღევანდელობის, არამედ ჩვენივე წარსულისა და მომავლის წინაშე.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვლევით დაწესებულებათა სამეცნიერო საბჭოების, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და საშუალო სკოლების პედაგოგთა წარმომადგენლები თავიანთ ზნეობრივ და მოქალაქეობრივ ვალად მიიჩნევენ, დააარსონ საზოგადოებრივი მოძრაობა — **„საქართველოში მეცნიერებისა და განათლების გადარჩენისათვის“.** მოძრაობის მიზანია, ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერით მიაღწიოს იმას, **რომ ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ აამოქმედოს „საქართველოს კანონი მეცნიერთა სოციალური უზრუნველყოფის გარანტიების შესახებ“, სათანადო ცვლილებები შეიტანოს კანონებში ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ და განათლებისა და მეცნიერების რეფორმას საფუძვლად დაუდოს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები:**

**— აკადემიური თავისუფლება, რაც გულისხმობს უნივერსიტეტებისა და მეცნიერებათა აკადემიის, როგორც ფუნდამენტურ კვლევათა ეროვნული ცენტრის, ავტონომიას საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის წარმართვის საქმეში;**

**— მეცნიერული ექსპერტიზა, რაც მეცნიერების მართვის უმთავრეს კომპონენტად აღიარებს სამეცნიერო პროდუქციის შეფასებას თავად მეცნიერთა ერთობიდან გამორჩეული მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე ექსპერტების მიერ;**

**— კოორდინაცია, ანუ ფუნდამენტურ მეცნიერებათა დარგების ერთიანობა, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს სრულფასოვანი მეცნიერული საქმიანობის წარმართვისათვის;**

**— ცოდნის აკუმულაცია;**

**— მეცნიერული კვლევისა და აკადემიური განათლების ურთიერთკავშირი;**

**— უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების საბაზო და გრანტული დაფინანსება.**

მოძრაობის — „საქართველოში მეცნიერებისა და განათლების გადარჩენისათვის“ — კარი ღიაა ყველასთვის, ვისაც გული შესტკივა საქართველოს განათლებასა და მეცნიერებაზე, საერთოდ, ქვეყნის მომავალზე.

**მოძრაობის დამფუძნებელი კრება ჩატარდება ა.წ. 16 ოქტომბერს 13 საათზე ფილარმონიის დიდ დარბაზში**

⊙ ბაზარი

# მამალო, მამალო, ოქროსდეზებიანო!...

## სოფლის ქათმები ავად მართლა არ ხდებიან?

**გავრცელებული** ინფორმაციის თანახმად, მოქალაქემ, რომელმაც დიღმის ბაზარში ცოცხალი ქათამი შეიძინა, მისი დაკვლისა და მირთმევის შემდეგ თავი ცუდად იგრძნო. ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ აცნობა რესპუბლიკის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციას.

ამ სამსახურის უფროსი დავით მესხიშვილი, რომელმაც არც ერთი ბაზარი, პურის საცხობი და კვების ობიექტი კი არა, საავადმყოფოების სანიტარიული მდგომარეობაც არ დატოვა შეუმოწმებელი, რა თქმა უნდა დიღმის ბაზრობასაც ეწვია. შედეგად — ცოცხალი ქათმების გაყიდვა აუცრელად აიკრძალა.

ეს, როგორც მოგახსენეთ, დიღომში მოხდა, სადაც ძირითადად ცოცხალი ფრინველი იყიდება. რედაქცია სხვა ბაზრებითაც დაინტერესდა.

სწორედ ამ შემთხვევის გამო მივედი „დეზერტირების“ ბაზრის „ფილიალში“, სადაც, საცალო და საბითუმო საქონელთან ერთად, ცოცხალი ფრინველიც იყიდება.

თავდაპირველად ეს ბაზარი „დეზერტირების“ კუთვნილება მეგონა, მაგრამ — არა. როგორც გავარკვიე, იგი სულ სხვა კერძო ფირმა. კვირა დღეს დირექციიდან არავინ იყო, მოვაჭრეებმა კი მათი ვინაობა არ გამიმხილეს.

ცოცხალი საქონლის სექციაში, ვერ იტყოდით, რომ ანტისანიტარია სუფევდა, გამყიდველები შიგადაშიგ ასუფთავებდნენ დახლებს, მიუხედავად იმისა, რომ აქ ქათამიც ბევრი იყო, ინდაურიც და აქა-იქ გოჭების ჭყვიტინიც ისმოდა.

**— თქვენი ქათმები აცრილია?** — ვეკითხები გამყიდველს.

— აცრა სოფლის ქათმებს არ სჭირდებათ, ქათამი თუ გინდათ, აგირჩევთ, რა ფასიანი გნებავთ?

**— არა, მე ქათმის საყიდლად არ მოვსულვარ, მაინტერესებს, თუ დიღომში არ შეიძლება აუცრელი ქათმის გაყიდვა, აქ რატომ შეიძლება? თქვენ რა, მესხიშვილის არ გეშინიათ?**

— მესხიშვილმა და მისმა ხალხმა ფაბრიკებს და მაღაზიებს მიხედონ უკეთესია, სადაც გაყინული ქათმები და ბარკლები იყიდება, — ამბობს ქალბატონი ლამარა, იგი, როგორც გავარკვიე, 8-9 წელია აქ მუშაობს და სიტუაციაშიც ცუდად არ ერკვევა. — ფაბრიკის ქათმებს სხვადასხვა ვიტამინების და წამლების სუნი ასდით, დამიჯერეთ, ქალბატონო, სოფლის ქათმებს აცრა არ უნდათ. ესენი, შეხედეთ, ხორბალზე და სიმინდზე არიან გაზრდილები. ჩემი მეუღლე კვირაში ერთხელ თიანეთში დადის და იქიდან ჩამოჰყავს.

გარდა ამისა, აცრილი ქათამი ერთი კვირა მაინც არ იჭმევა. ჩვენ როგორ უნდა ავცრათ, აქ ზოოპოლიკლინიკა ხომ არა გვაქვს? ან სად გვაქვს იმის გარანტია, რომ მყიდველი ერთი კვირა შინ შეინახავს ქათამს?

ამ დროს ქალბატონ ლამარას, როგორც ჩანს ნაცნობი ფულიანი კლიენტი მოუვიდა, 3-4 ქათამი ამოარჩევინა, თან სთხოვა ნახევარ საათში მოვალ და დაკლულ-გაპუტული დამახვედრეთო.

მომიჯნავე დახლთან მომუშავე 15 წლის გოგონამ, რომელსაც იმ დღეს დედა შეეცვალა სამუშაოზე ისე სწრაფად და აკურატულად დაკლა და გაასუფთავა ქათმები, გამოცდილ დიასახლისსაც შეშურდებოდა. იქვე, სათავსოში გაზიც აქვთ და ცხელი წყალიც, ამ სამუშაოს შესრულებაც ამიტომ არ უჭირთ.

**— ქალის დაკლული არ შეიძლება, კახეთში, მაგალითად, თუ გაიგეს, რომ ქალმა დაკლა ქათამი, არავინ შეჭამს, ვთქვი მე.**

— ეს ცრურწმენაა, ჩემო ბატონო, მართალია, არც ჩვენ გვსიამოვნებს ეს რიტუალი, მაგრამ რა ვქნათ, ყოველთვის აქ კაცი არ გვყავს და სად ვეძებოთ? კაცი და ქალი ამ შემთხვევაში სულ ერთია, — გოგონას მაგიერ გამცა პასუხი ხანშიშესულმა ქალმა.

— ეს გადაცემა მეც ვნახე ტელევიზიით, — საუბარი გააგრძელა ქალბატონმა ლამარამ, მაგრამ როგორც შემდეგ გავარკვიეთ, ავადმყოფი ქათამი ბაზარში კი არ ჰქონიათ გასაყიდად, არამედ იქვე ახლოს ეკლესიიდან მღვდელს მიუყვანია, თურმე შესაწირი ქათმები რომ მიჰყავთ, აგროვებს და ბაზარში აბარებს. იმ ჩაბარებულ ქათმებში იყო თურმე ავადმყოფი. ბაზარი რა შუაშია, ან ჩვენ? მე მაინც მგონია რომ აქ რაღაც მაფია მუშაობს.

**— რა მაფია უნდა იყოს ასეთი? ხომ ცნობილია, მესხიშვილთან ასეთი რამეები არ გადის, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ.**

— მესხიშვილზე ვერაფერს გეტყვით, არ გამიგია, მაგრამ იმას, ვინც ეს ამბავი დაიწყო, გაყინული ქათმების და ბარკლების გაყიდვა ხელს აძლევს, ალბათ. კი ბატონო, იყიდონ, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, ჩვენ ჩვენი კლიენტებიც გვეყოფა. მაგრამ ჩვენი ფაბრიკების ქათამი რა არის, გაყინული რომ კარგი იყოს. ერთმა ჩემმა ნაცნობმა მთელი ყუთი გაყინული ქათმები შეიძინა, რაიონში უნდა წაეღო გასაყიდად, ყუთზე წარწერა ამოიკითხა, თურმე 1956 წლის პროდუქცია იყო. კომენტარი თქვენ გააკეთეთ. აი, კარგი იქნება, თუ მესხიშვილი შემოტანილ ქათმებს შეამოწმებს.

როგორც ჩემს მოსაუბრეს, ისე სხვებს, ერთი წუთითაც არ ჰქონდათ მოცლა, თუ თავისუფალ დროს ნახავდნენ, ცოცხი ეჭირათ ხელში და ასუფთავებდნენ, ყოველ დილით დახლებს უკეთებენ დეზინფექციას, ავადმყოფობა რომ არ გაჩნდეს. მყიდველები კი მოდიან, არჩევენ, ზოგს ოქროსდეზებიანი მამალი ურჩევნია, ზოგს — დედალი, თითო 7-8-9 ლარი ღირს.

— თითო ქათამში ლარი თუ გვრჩება, მეტი არა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვართ, — ამბობენ ისინი, — ვიცით, რომ ჩვენი საქონელი მართლაც კარგია, ამიტომ კლიენტებიც, ხომ ხედავთ, არ გვაკლია. უკმაყოფილონი რომ იყვნენ, განა განმეორებითაც იყიდდნენ ჩვენგან?

ასე რომ, ვაჭრობა არის, რაც მთავარია, მინდორში გაშვებული ქათმები საიმედოაო, გვამშვიდებენ გამყიდველები.



**ნაზი იმნაიშვილი**

⊙ ახალი ტექნოლოგიები

# თაფლი, უმჯობესია, ფიჭიანი მიირთვათ

**თაფლის სამკურნალო თვისებებზე ოდითგანვე წერდნენ და ახლაც ყველამ იცის, თუ რა უებარია იგი ჩვენი ჯანმრთელობისთვის. ამიტომაც ფუტკრის მოშენება ქართველი კაცისთვის, ვისაც ეს შეუძლია, უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს, რადგან მას საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი მოგების მოტანა შეუძლია.**



გურიის მეფუტკრეთა კავშირის მენეჯერის თამაზ ღლონტის განმარტებით, არა მარტო სუფთა თაფლია სასარგებლო, არამედ ფიჭიანი თაფლიც, რომელსაც თურმე უდიდესი კვებითი, სამკურნალო და გემოვანი თვისებები აქვს. მასში მთლიანადაა შენარჩუნებული თაფლისა და ფიჭის ყველა კარგი თვისება, აქროლადი ეთერზეთები, ამასთან, ფიჭის ღეჭვა ადამიანს თურმე მრავალმხრივ დაცვით იმუნიტეტს გამოუმუშავებს.

ამიტომაც დღეს მეფუტკრეობის ქვეყნებში სექციური ფიჭიანი თაფლის წარმოება ფართოდ არის გავრცელებული. იგი მსოფლიო პრაქტიკაში მიჩნეულია, როგორც თაფლის წარმოებისა და მეფუტკრეობის განვითარების მაღალეფექტური, ჩვეულებრივ თაფლთან შედარებით გაცილებით რენტაბელური მიმართულება. იგი მეტად ხელსაყრელია თავის სასაქონლო სახის გამოც.

საქართველოში, როგორც მეფუტკრეობის და თაფლის წარმოების უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, შესაძლებელია უმაღლესი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა სექციური ფიჭიანი თაფლის წარმოება, რომელსაც შეეძლება კონკურენცია გაუწიოს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყნებში წარმოებულ ანალოგიურ პროდუქტს, როგორც ხარისხის, ისე ღირებულების მხრივ.

ოღონდ დაფინანსება იყოს და საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები იძლევა სხვადასხვა სახეობის — აკაციის, ცაცხვის, წაბლის, ციტრუსის და სხვა ყვავილოვანი მცენარეების, ასევე მინდვრის, მაღალმთიანი მდელოების ყვავილების თაფლის წარმოების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ ამ წინადადების ავტორების (თამაზ ღლონტი — გურიის მეფუტკრეთა კავშირის მენეჯერი, ჯუმბერ ჩავლეიშვილი — სს „ქართული ჩაის“ მენეჯერი) სახელზე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ 2003 წელს გაცემულია პატენტები, რომლებიც იძლევა სექციური ფიჭიანი თაფლის წარმოებისთვის საჭირო ორიგინალური, ეკოლოგიურად სუფთა, საამისოდ შესაფერისი ხის მასალისგან დამზადებული სექციური ჩარჩოების გამოშვების შესაძლებლობას.

შემოთავაზებული ტექნოლოგიები სიახლეა საქართველოსთვის და მათ აქვთ საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზარზე გასვლის რეალური პერსპექტივა.

ახლა მთავარია ადგილობრივი თუ უცხოელი ბიზნესმენები ამ დარგით დაინტერესდნენ და მისი განვითარებისთვის ფული გაიღონ, ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს მათ დიდ მოგებას მოუტანს.

**ლალი ქინქლაძე**

⊙ ინფორმაცია

## ნაციონალთა ქველმოქმედება

**ერთიანი** ნაციონალური მოძრაობა გურიაში სტიქიური მოვლენებით დაზარალებული მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების მორიგ პარტიას აგზავნის.

როგორც ინტერპრესნიუსს პარტიის პრესსამსახურში განუცხადეს, კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, პირველადი მოხმარების საგნები და საწვავი ნაციონალური მოძრაობის კახეთისა და ქვემო ქართლის რაიონულმა ორგანიზაციებმა მოაგროვეს.

## გიორგი არველაძემ, შესაძლოა, დეპუტატის მანდატი დატოვოს

**პრეზიდენტის** ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი არველაძის განცხადებით, მას ჯერჯერობით გადაწყვეტილი არა აქვს, პარლამენტში დარჩება თუ პრეზიდენტის ადმინისტრაციის თავმჯდომარის პოსტს ოფიციალურად დაიკავებს. მისი თქმით, ამ გადაწყვეტილებას საქართველოს პრეზიდენტი მიიღებს.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი ადმინისტრაციის თავმჯდომარის პოსტის მოვალეობის შემსრულებლად ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი გიორგი არველაძე მიმდინარე წლის 12 ივლისს დანიშნა. როგორც მაშინ პრეზიდენტმა განაცხადა, „დარჩება თუ არა არველაძე ამ თანამდებობაზე, ეს ნაციონალურმა მოძრაობამ უნდა გადაწყვიტოს“.

## „კოლექტიური თვითმკვლელობის დოკუმენტი“



**საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ულტიმატუმს უყენებს და მოუწოდებს კოლექტიური მრიცხველების შესახებ სემეკის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირადად გააუქმოს.**

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ნათელაშვილმა განაცხადა, საკონსტიტუციო სასამართლომ კოლექტიური მრიცხველების გაუქმებასთან დაკავშირებით ლეიბორისტული პარტიის სარჩელი წარმოებაში მიიღო, რადგან სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს კონსტიტუციის 30-ე მუხლს ეწინააღმდეგება.

ლეიბორისტთა ლიდერი სემეკის ამ გადაწყვეტილებას „კოლექტიური თვითმკვლელობის დოკუმენტს“ უწოდებს და მიაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მათ სარჩელს დააკმაყოფილებს. პროცესზე ხალხის ინტერესებს თავად შალვა ნათელაშვილი დაიცავს.

## ბინების პრივატიზაცია უფასო იქნება



**გუშინ** პარლამენტის პლენარულმა სხდომამ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტი განიხილა, რომელიც ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრ ზურაბ ტყემალაძის მიერ არის მომზადებული.

როგორც ტყემალაძემ განაცხადა, სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ გაცემული ბინების ღირებულება საშემოსავლო გადასახადით აღარ დაიბეგრება. საგადასახადო კოდექსში ცვლილება უკუძალით განხორციელდება და 2005 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება.

კანონპროექტი პარლამენტმა მეორე მოსმენით მიმდინარე კვირაში უნდა მიიღოს.

## ბაღაფშს ურუსეთოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია

**აფხაზეთის** თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლას არ დათანხმდება.

„აფხაზეთს აქვს უფლება არ დათანხმდეს რუსეთის სამშვიდობოების მანდატის შეცვლას და სამშვიდობო ოპერაციაში სხვა ქვეყნების სამშვიდობოების მონაწილეობას“, - განაცხადა სერგეი ბაღაფშმა საქართველოს პარლამენტის მიერ სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კომენტირებისას.

ბაღაფში იმედოვნებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას წარმოდგენილი აქვს და კარგად ესმის რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს „გაუაზრებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას“.

მისი თქმით, „ქართველ პოლიტიკოსთა მცდელობა, ამგვარი გადაწყვეტილებით მიაღწიონ სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციას და ამ ოპერაციაში სხვა ქვეყნების ჩართვას, ამაოა“.

მისივე მტკიცებით, რუსეთის ფედერაცია სრულად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. სამშვიდობო ძალებმა ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის ყველა პირობა შექმნეს.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ გვწერენ

# შენი ხალხი ვართ...

**ალბათ, ბევრს მოუსმენია გამწარებული კაცის წყევლა, ჯოჯოხეთის გზა გქონიაო. თუ ვინმეს აინტერესებს ამ „დაწყევლილი გზის“ ნახვა, გამოემგზავროს კურორტ აბასთუმანში, ბენარიდან აბასთუმნამდე სწორედ რომ ჯოჯოხეთის გზის გავლა მოუწევს. დიახ, ეს გზა კი არა, თავბედის წყევლაა. ისე გაგთქვეფავს, როგორც შესადღვებად ჩასხმულ მაწონს, ძვალსა და რბილს საკატლეტე მასალად გიქცევს.**

არაფერს ვაჭარბებ და ვისაც არ სჯერა, თავის თვალით ნახოს.

ადგილობრივი თუ რაიონის ხელმძღვანელობა გზის გაკეთილშობილებას ყოველ წელს გვპირდება, გაზაფხულდება თუ არა, აუცილებლად დაიწყება შეკეთება-მოასფალტებაო. ბევრმა გაზაფხულზაფხულმა ჩაიარა, კიდევ ბევრი ჩაივლის, გზა კი უარესზე უარესი ხდება. შარშანაც და წელსაც გერმანელებით დაგვაიმედეს, მერე თვითონ ხელები დაიბანეს და... მოვალეობა მოიხსნეს. გერმანელები კი არ ჩანან. შენს საქმეს თუ შენ არ სდიე, გერმანელს რა ენაღვლება?

ძალზე მტკივნეულია სასმელი წყლის საკითხი. ჩვენს ონკანებში გაუფილტრავი, ბიოლოგიურად დაუმუშავებელი წყალი მოედინება. მეტი რა გზაა, ვსვამთ... ვუძლებთ, ჯერჯერობით ინფექციური დაავადებისგან ღმერთი გვიცავს... სრულიად მოუწესრიგებელია წყალგამწმენდი სადგური, ფილტრსა და ქიმიურ დამუშავებაზე ლაპარაკი ზედმეტია...

ვერსად ვერაფერს გავხდით, ბედს მივენდეთ ჩვენი მთავრობისგან მოძულებულნი, ან კი რა ქნას მთავრობამ, რომელ ერთს გასწვდეს. ველარ აუვიდა ქვეყნის ფინანსები ამდენ ვიზიტებს, დედაქალაქის პრესტიჟული უბნების კეთილმოწყობას, სადაც მალე უსაშვოდ ჩიტიც ვერ შეფრინდება. აბა, ხომ არ შეიძლება ცხოვრებით გაზულუქებულებმა მილიონერებმა და გამათხოვრებულმა ბრბომ ერთიდაიგივე გზით იარონ? „ღარიბთა კვარტალებში“ არც ნორმალური ტრანსპორტია საჭირო, არც გზის კეთილმოწყობა, არც სითბო-სინათლე, არც წყალი. სმა-ჭამაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ვინც მილიონებში იხრჩობა, ის თვალებში შესციცინებს ბატონ პრეზიდენტს, მოშიმშილე და უქონელი კაცისთვის აღარც მთავრობაა საჭირო, აღარც პრეზიდენტი. მე კი სადღაც 9 მთის იქით მიგდებულს, ბედის ანაბარად მიტოვებულს, რატომ მეყვარება მიშა, ან რაში სჭირდება ჩემი სიყვარული...

ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, მაგრამ არა ხარ მართალი, მამინაცვალივით ნუ გვეპყრობი. ჩვენსკენაც გამოიხედე ერთხელ მაინც. ჩვენც ხომ შენი ხალხი ვართ...

**ზინაიდა ლობჟანიძე**
**კურორტი აბასთუმანი.**

⊙ მომხმარებელს აბუჩად იგდებენ

# პასუხს კი არავინ აგებს

**ამჯერად მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაცია დედაქალაქის ისანი-საგორის რაიონში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მდგომარეობით დაინტერესდა, საიდანაც ბოლო პერიოდში მოქალაქეთა უამრავი საჩივარი შემოვიდა. როგორც ისინი გვატყობინებდნენ, ქუჩებში, მაღაზიებში, ჯიხურებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში კვლავინდებურად იყიდება ლაბორატორიულად შეუმოწმებელი, ვადაგასული, საკვებად უვარგისი კონტრაბანდული, აღურიცხავი, დაბინძურებული, გაურკვეველ პირობებში კუსტარულად დამზადებული კვების პროდუქტები, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, რომლებმაც შეიძლება მოსახლეობის მასობრივი დაავადება და სიკვდილიც კი გამოიწვიოს.**

სიმართლის დასადგენად დასახელებულ ობიექტებს ადგილზე ვეწვიეთ. ჩემთან ერთად იყვნენ ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ნელი ნაჭყებია, ექსპერტები დავით დემეტრაშვილი, სოსო კიკნაველიძე, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის წარმომადგენლები ილია ტულუში და გოჩა ხანიაშვილი, ადგილობრივი გაზეთის „ისანი-სამგორის“ კორესპონდენტი ლიზა გამყრელიძე, ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ. როგორც წერილებში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა!



შესწავლილი ობიექტების აბსოლუტური უმრავლესობა ვაჭრობდა უცხოური წარმოების კონტრაბანდული (უსაბუთო) შოკოლადით, ძეხვით, შებოლილი თევზით, პურის ფქვილით, კონსერვებით, რომელთა უმეტესობას არ ჰქონდა ინფორმაცია ქართულ ენაზე, რაც მომხმარებელს ართმევს საშუალებას გაიგოს მისთვის სასურველი ნაწარმის სამომხმარებლო თვისებები, კალორიულობა, ვიტამინიზებულობა, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებათა შემცველობა და შესაძლო უკუჩვენებები.

ამასთან, ვერც ერთ რეალიზებად საქონელზე ვერ ვნახეთ გამოშვების თარიღი, ვარგისიანობის ვადა, სწორად გაფორმებული ფასმაჩვენებელი, ინფორმაცია ხარისხისა და წონის შესახებ. მოვაჭრენი უზრუნველყოფილი არ არიან სათანადო მოწყობილობებით, მაცივრებით, გამართული სასწორებით, შემოწმებული საწონებითა და სხვა ხელსაწყოებით, რაც მათ მომხმარებლის მოსატყუებლად კარგ პირობებს უქმნის. აღარაფერს ვამბობთ სამედიცინო წიგნაკებსა და ჯანმრთელობის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტებზე, რომლებიც კვების ობიექტებში მომუშავე არც ერთ პირს არ აღმოაჩნდა.

რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ვიხილეთ ნავთლუღის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებულ ჯიხურებში. ერთ-ერთ ასეთ ჯიხურში ვინმე ე. ფურცელაძე მომხმარებელზე ასაღებდა ინდმეწარმე კიკაბიძის მიერ დამზადებულ შებოლილ ძეხვს და რძის პროდუქტებს, რომელთა წარმომავლობაზე არავითარი დოკუმენტი არ აღმოაჩნდა. ინდმეწარმე გ. თუშიშვილს კი გასაყიდად გამოტანილი ჰქონდა საწარმო „თბილისის“ მიერ დაფასოებული წიწიბურა და მანანისფაფა, რომელთა ეტიკეტზე მითითებული იყო წონა 1 კილოგრამი, ფაქტობრივად კი ისინი 400 და 300 გრამით ნაკლებს იწონიდა.

ინდმეწარმე რ. ჭიტაძე ვაჭრობდა რუსული წარმომავლობის პურის ფქვილით („მაკფა“ და „სტავროპოლსკაია“), რომელსაც არც ქართული წარწერა ჰქონდა და არც კანონით გათვალისწინებული სხვა რეკვიზიტები. იქვე გვერდით, ფერადი ლითონების მიმღებ პუნქტში, სადაც გამეფებულია ანტისანიტარია, წვავდნენ კვირის მანძილზე დაგროვილ ნაგავს.

ქეთევან წამებულის ქუჩაზე (№91) გახსნილ ხაჭაპურის საცხობებში (მეპატრონეები დ. გელაშვილი და ქ. ჩიქოვანი) ვერ დავადგინეთ იქ მომუშავენი გადიან თუ არა სამედიცინო შემოწმებას, ვერც ის, რა გზით ახდენენ მომხმარებელთან ანგარიშსწორებას, რადგან არ გააჩნიათ საკასო-საკონტროლო აპარატები.

მოსკოვის გამზირის დასაწყისში იყიდებოდა ვადაგასული „ჩიტის რძე“, შოკოლადის ფილა „ბატონები“, სხვა პროდუქტები. არც ერთი დასახელების პროდუქტზე არ იყო მითითებული მათი წარმომავლობა. გამყიდველის განმარტებით, ისინი პროდუქტებს ყიდულობენ ბაზრობებზე, რომლებიც არ იძლევიან ანგარიშფაქტურებს და სასაქონლო ზედნადებებს.

აი, ასეთი პროდუქციის შეძენა უწევს მომხმარებელს, რომლის მიღების შემდეგ ადვილი შესაძლებლია ის სასიკვდილო სარეცელზეც კი აღმოჩნდეს. რაც არ უნდა საოცრად მოგვეჩვენოს, ამაზე პასუხს არავინ აგებს.

ასეთი განუკითხაობის მიზეზი ისიც არის, რომ სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანელები არ იცნობენ (ან არ უნდათ იცოდნენ) საქართველოს კანონს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, მის ბაზაზე გამოცემულ ნორმატიული აქტებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოთხოვნებს, რომელიც ზემოთ დასახელებული დარღვევებისთვის მკაცრ ეკონომიკურ სანქციებსა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც კი ითვალისწინებს. ასეთი სანქციების მსხვერპლნი რომ არ აღმოჩნდნენ, ჩვენი ასოციაცია მათ სთავაზობს თანამშრომლობას, კონსულტაციებს, მაგრამ ბევრი ასეთ ურთიერთობას რატომღაც გაურბის.

არადა რეალობას სად გავექცევით, სავაჭრო ობიექტებში გამეფებული უხეში კანონდარღვევები და განუკითხაობა თანაბრად საზიანოა როგორც მომხმარებლისთვის, ასევე ობიექტების მფლობელებისა და სახელმწიფოსთვისაც, რომლის საბიუჯეტო შემოსავლები ამ მიზეზით მნიშვნელოვნად მცირდება.

ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის ბრძოლას, მაგრამ გამოვლენილ კანონდამრღვევებს პასუხი ვინმე ხომ უნდა მოსთხოვოს!

**ლევან ბაღდავაძე,**
**საქართველოს მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი.**

◉ მარადი ხსოვნა

# თავისუფლების სული

## 1989 წლის 13 ოქტომბერს ტრაგიკულად დაიღუპა მერაბ კოსტავა

**მერაბ კოსტავას სახელი ბავშვობიდან ლეგენდად მესმოდა, მისი ხსენება აღფრთოვანებას იწვევდა ჩემში...**

**მიკვირდა კიდეც, რომ მასზე მხოლოდ კანტი-კუნტად საუბრობდნენ — პატრიოტიზმით, მაგრამ — მოშიშრად, იშვიათად, აღტაცებისა და აღფრთოვანების გარეშე...**

**მიკვირდა, ზოგჯერ მთელი არსებითაც განვიცდიდი ამას, მაგრამ უფრო მეტად მეამაყებოდა, რომ იყო ადამიანი, რომელმაც გაუძლო მრავალ განსაცდელს, წინააღმდეგობებს, გაუსწორო დროს და გმირული ქცევით ჭეშმარიტი ვაჟკაცობის და უკომპრომისობის მაგალითს იძლეოდა.**

და აი, ოცნება თითქოს ახდა, — სასწაულებრივი 1988 და 1989 წლები, დროშების ზღვა, მერაბ კოსტავას ოპტიმისტური, ომახიანი გამოსვლები...

საოცარი იყო მისი დაკრძალვა... ოქტომბრის იმ წვიმიან დღეს მერაბმა თითქოს უკანასკნელად გააერთიანა ქართველობა და ტრაგიკული ოპტიმიზმით აანთო ჩვენი გულები...

ჩემს წინ აწყვია მშვენიერი წიგნები:

ბონდო გაგნიძის „შავლეგო“ და იოსებ ჯაჯანიძის „ძე ქარიშხლისა“ — მიძღვნილი მერაბ კოსტავას მოღვაწეობისა და შემოქმედებისადმი.

ვკითხულობ მათ, ვაკვირდები მარადისობადქცეულ ფოტოსურათებს — მაგონდება ძვირფასი დღეები, თვეები, წლები...

მერაბ კოსტავა არა ერთი და ორი მშვენიერი ლექსის, ესსეს, პოლიტიკური და პუბლიცისტური წერილის ავტორია. ძნელია აირჩიო მათ შორის საუკეთესო...

და მაინც, ვფიქრობ, რომ არის ნაწარმოები, რომელიც ყველაზე მკაფიოდ წარმოაჩენს მის სულიერ და გონებრივ პოტენციალს, ყველაზე სრულყოფილად ამჟღავნებს მისი პიროვნების არსისეულ, ყველაზე მნიშვნელოვან თვისებას — თავისუფლებისმოყვარეობას.

**„რაოდენი თავისუფლებაა, საოცარო ფრინველო, შენს მოძრაობაში! განუსაზღვრელი ექსტაზი სივრცეთა შეთანთქმისა, ერთდროულად ყველგანყოფნის სურვილი. თავისუფლება დიახაც ჰგულისხმობს ყოვლისმომცველობას და შენ უთუოდ ჰფლობ მას სივრცეში, რომლის სინაკლულესაც მომეტებულად განვიცდი მე, როგორც პატიმარი. მაგრამ შენს უბოროტო გულს, შენს უმანკოებას ვფიცავ, უსპეტაკესო, კიდევ მეტად რომ დავიწროვდეს საკანი, თუნდაც დაიძრნენ და კუბოს ფიქრებით შემომიჭიდონ მისი კიდეები, შენ მაინც ვერ იქნები ჩემზე თავისუფალი“...**

ეს ესსე საკანში დაწერილი...

აკაკი ბაქრაძის ვაჟის აკაკი განერილის უმცროსის ნაამბობიდან: იქ, შორეულ ციმბირში იყო საკანი, სადაც გამოცდისთვის შეჰყავდათ ყველაზე ძლიერი და გაუტეხელი პოლიტპატიმრები და ... რეციდივისტები.

ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაუძლო დაუნდობელ და მკაცრ გამოცდას, მერაბ კოსტავას გარდა...



მერაბ კოსტავა. მოქანდაკე მერაბ მეტრეველი.

**მისი ვაჟკაცობითა და გამძლეობით აღტაცებული და გაკვირვებული ზედამხედველები შევიდნენ საკანში და უთხრეს მას: „შენ უნდა იცხოვრო...“ (ТЫ ДОЛЖЕН ЖИТЬ).**

და მან იცხოვრა ჩვენს შორის ყველაზე ღირსეულად, ყველაზე თავისუფლად, ყველაზე პატიოსნად, ყველაზე უკომპრომისოდ...

ერთგან ამოვიკითხე, მერაბ კოსტავას სიკვდილი ბედისწერა საქართველოსი, ისტორიული განგება იყოო...

მერაბ კოსტავას უდროოდ გარდაცვალება უდიდესი დანაკლისი იყო აღორძინებული ქართული ეროვნული მოძრაობისთვის.

მერაბ კოსტავა — „უშიში ვითარცა უხორცო“, წამებული, თავისუფლების, სამართლიანობის დამამკვიდრებელი, „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“, ამაღლებული, დიდსულოვანი, მრავალტანჯული და გამარჯვებული, ჭეშმარიტი რაინდი, ძე ქარიშხლისა!..

მერაბ კოსტავა — სიმბოლო ერთიანი, ძლიერი საქართველოსი!..

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ: მერაბ კოსტავას კალამს ეკუთვნის არა ერთი და ორი დიდი მნიშვნელობის მქონე წერილი, ლექსი, პოლიტიკური თუ პუბლიცისტური სტატია, ესსე.

მის მოღვაწეობასა და შემოქმედებაზე გამოთქმულ მრავალ ნააზრევს შორის საუკეთესო და ყველაზე სრულყოფილია ზვიად გამსახურდიას სტატია „მერაბ კოსტავა — შემოქმედი“.

რაოდენ სასიხარულო იყო ჩემთვის, გურამ ასათიანის ვაჟისთვის, რომ სხვა წერილებისაგან განსხვავებით, მასში ზვიად გამსახურდია მამაჩემს ახსენებს მხოლოდ პოზიტიურ კონტექსტში (ამით საბოლოოდ დაედო დასასრული მისდამი ჩემს სამართლიან წყენას):

გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ წერილში მერაბ კოსტავა ვაჟკაცობისა და ქრისტიანული თავდადების აპოლოგეტად გვევლინება.

გურამ რჩეულიშვილის ქშატრიულ სიკვდილს, ქრისტიანული ჟესტი ედო საფუძვლად. აბობოქრებულ ზღვას მისცა მან თავი დასაღუპად განწირული მოყვასის გადასარჩენად და თავი მსხვერპლად გაიღო.

ასე დარჩება იგი ჩემს წარმოდგენაში — ალავერდის გუმბათზე, ჯვარცმის პოზით, მკლავებგაშლილი, ვითარცა იესო.

მთლიანად წერილი რაინდული პასოთით არის განმსჭვალული და ის შინაგანი სიღრმიდან ამოხეთქილი სიმპათია, რომელსაც მერაბი ამჟღავნებს ქრისტიანული თავდადებით და რაინდული დიდსულოვნებით ყოვლადშემკული პიროვნებისადმი, გარწმუნებს, რომ მერაბ კოსტავა და გურამ რჩეულიშვილი მართლაც **„თანამდევი სულები“** იყვნენ, როგორც ვინმე პატრიოტმა აღნიშნა ერთ დროს“.

**პატრიოტი „თანამდევი სულების“** ავტორი გურამ ასათიანია...

იშვიათად, უფრო სწორედ, არცთუ ისე ხშირად დგება გულწრფელი აღსარების, უმთავრესი სათქმელის, უშეღავათო სამართლიანობის დამკვიდრების სურვილი, როდესაც გინდა იმსჯელო ყველაზე მთავარზე, ყველაზე არსებითსა და მნიშვნელოვანზე...

კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც, ჯერ კიდევ თითქმის ყველგან გაისმის ნიჰილისტური მოსაზრებანი, რომ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით პროვინციალიზმს, უკულტურობას, შურიანობას, ფუჭ ამბიციურობას, ქედმაღლობას, მონურ ინსტინქტებს, მეშჩანურ სულმდაბლობას, კომპრომისს, ცივილურობის ელემენტარული ნიშნების არქონას, გაუტანლობას, მერკანტილიზმს...

მოდით, ერთხელ და სამუდამოდ გავაცნობიეროთ, გავისიგრძეგანოთ ბანალური ჭეშმარიტება: ზოგიერთი თანდაყოლილი უკეთური თვისების უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ ის არაერთი მანკიერი თვისება, რომელიც გვაქვს, მტრებმა გაგვილვივეს. ყოველივე ეს შედეგი იყო ქართველი ხალხის მიზანმიმართული, თანამიმდევრული გენოციდისა...

ჩვენს წინააღმდეგ ბევრი იმუშავეს. ის მანკიერებანი, რომელიც გვაქვს, მტრებმა გაგვილვივეს, რადგან უნდოდათ, ციხე შიგნიდან გაეტეხათ. ბოლო ორი საუკუნე, მიუხედავად მშვიდობიანობისა და არაერთი პოზიტიური ძვრისა, არანაკლებ ტრაგიკული და მძიმე იყო მრავალტანჯული ქართველი ერისთვის, ვიდრე შუა საუკუნეები.

ის, რაც მთავრობის სასახლის წინ 1988-1990 წლებში ხდებოდა, ესეც თავისებურად უპრეცედენტო და უნიკალური იყო, მანიშნებელი საბჭოთა კავშირის, საბჭოური, კომუნისტური იდეოლოგიის დემონტაჟის დასაწყისისა, რომელმაც დიდი რეზონანსი ჰპოვა იმჟამინდელ მსოფლიოში.

ცენტრალური ფიგურა, გამაერთიანებელი ამ ეროვნული, ქრისტიანული, ანტიკომუნისტური, ანტიიმპერიალისტური სულისკვეთებისა, ზვიად გამსახურდიასთან ერთად, იყო — მერაბ კოსტავა...

მხოლოდ რჩეულ ერთეულებს შესწევთ ძალა ასეთი უკომპრომისო ერთგულების შესანარჩუნებლად...

ერთგან ვთქვი და კვლავ გავიმეორებ: დღეს, ღრმა წინააღმდეგობებით აღსავსე მკაცრ დროში, როდესაც თვითოეული ჩვენგანი ანთებულია ხვალინდელ დღეზე გამუდმებული ფიქრით, ისევ მინდა მივმართო ჩემს თანამემამულეებს: ვიყოთ სამართლიანნი, პატიოსანნი, უკომპრომისონი, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, დიდსულოვანნი, სულგრძელნი...

მერაბ კოსტავას მიერ ღირსეულად განვლილი ცხოვრებისეული გზა ამის ბრწყინვალე მაგალითია.

**ლევან ასათიანი**

◉ დაბრუნება სამარადისოდ

# „...შენს მიწას მიმაბარეთ“

**დღეს დიდუბის ეკლესიაში გაიმართება სამოქალაქო პანაშვიდი და საზოგადოება, ახლობლები, ოჯახის წევრები, ძმები, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები გამოეთხოვებიან მსოფლიოში აღიარებულ ხელოვანს, სახელოვან დირიჟორს ვახტანგ ჟორდანიას, რომლის გარდაცვალება დიდი დანაკლისია დღევანდელი მუსიკალური სამყაროსთვის.**

ურნა ვახტანგ ჟორდანიას ფერფლით გუშინწინ ჩამოასვენეს შორეული ამერიკიდან. დამთავრდა სიცოცხლის სამოცდაორი წლიდან ორმოცდაჩვიდმეტწლიანი ლტოლვა იმ გრძნეული სამყაროს ახალ საიდუმლოებათა წარმოსაჩენად, მუსიკის ფენომენი რომ ჰქვია: ვახტანგ ჟორდანია პროფესორ გივი ჟორდანიას მესამე, უმცროსი შვილი იყო, და, როგორც თვითონ იხსენებდა, მამის მაგალითისამებრ, ხუთი წლის ასაკიდან გაუშინაურდა როიალს.

თბილისში დაწყებითი მუსიკალური განათლების დაუფლების შემდეგ, ლენინგრადის კონსერვატორიას მიაშურა, არა გამოცდების ჩასაბარებლად, არამედ ძალების მოსასინჯად. როგორ წარმოიდგენდა, თუ კათედრის გამგე, პროფესორი კონსულტაციაზე ეტყოდა, სამი დღით თუ შეგიძლია დარჩეო, მეორე დღეს კიდევ ორმა პროფესორმა მოუსმინა. მესამე დღეს რექტორთან შეიყვანეს და ... პირდაპირ მესამე კურსზე დასვეს ... სწორედ სამი თვის შემდეგ უდირიჟორა ოპერას.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ოდისეი დიმიტრიადმა მოსკოვში ასპირანტობა შესთავაზა, შემდეგ კვლავ ლენინგრადში — ლეგენდარულ მრავინსკისთან ურთიერთობა და ლენინგრადის რადიოს სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორობა.

სრულიად ახალგაზრდა ვახტანგ ჟორდანიას, რომელიც უკვე კარაიანის სახელობის კონკურსის ლაურეატი იყო, გასაოცარი ტრიუმფი ჰქონდა უკრაინაში, სადაც განაგრძო მოღვაწეობა და სრული აღიარება მოიპოვა, მას იწვევდნენ უცხოეთში სამუშაოდ, მაგრამ საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტრო ნიჭიერ შემოქმედს აღარ წყალობდა — მისთვის საზღვარგარეთის კარი საგულდაგულოდ დაიხურა.

და რჩებოდა ერთი არჩევანი —



როგორმე გაეღწია. მოახერხა და ფინეთში მიწვეულ მევიოლინე მეგობარ ქალთან ერთად ამ ქვეყანაში შეაღწია, იქიდან მანქანით — შვეციაში, და როგორც ვახტანგი ამბობდა, ორსაათნახევარში დაეწყო თმების გათეთრება. სუკისაგან მოუხელთებლებს შვედებმა ამერიკაში გაფრენის საშუალება მისცეს.

ასე დაუკავშირა ვახტანგ ჟორდანიამ სიცოცხლის ბოლო ოცი წელი ამერიკის კონტინენტს, საიდანაც საშუალება ჰქონდა მსოფლიოს მუსიკალურ ცენტრებში შეუფერხებლად ემოღვაწა.

სახელოვანმა დირიჟორმა მშვენიერი მემკვიდრეები დატოვა. გიორგი ჟორდანია, რომელიც მამის კვალს მიჰყვება საქართველოში, ნინა ჟორდანია, ხელოვნებათმცოდნე პეტერბურგში, პატარები — მარია და დიმიტრი, რომლებიც ამერიკაში დაიბადნენ და მზრუნველ მამას პერიოდულად ჩამოჰყავდა საქართველოში და ქართულ სკოლაში ატარებდა, რომ არ დაეკარგათ ენა და გენი. მახსოვს, როგორი გახარებული მიამბობდა მათზე ვახტანგი: როცა ლექსებს ვუკითხავდი, მეხვეწებოდნენ გვასწავლე ქართული ენაო და გადავწყვიტე, ჩემს ფესვებთან დამებრუნებინა ჩემი პატარები — მე მგონია, რაღაცას მივაღწიე, ქართულს დაეუფლენ, და, რაც მთავარია, ქართულად აზროვნებენ, ამიერიდან მათ იციან, საიდან მოდის მათი მამა, რა ქვეყანაა საქართველო.

ამჟამად საბოლოოდ და სამარადისოდ დაუბრუნდა ვახტანგ ჟორდანია დედა სამშობლოს.

დღეს დიდუბის პანთეონში გახსნიან მშობლიური მიწის მკერდს და წინაპართა გვერდით დაავანებენ მის ნეშტს.

**გივი შეყილაძე**

◉ „ცოცხლებზე უფრო ცოცხალნი“

# ყველაზე ცნობილ პიროვნებათა მუმიები და მათი ადგილმდებარეობანი





**შენიშვნა:** ოდესღაც ბალზამირებული ბულგარეთის კომუნისტთა ლიდერის **გიორგი დიმიტროვის**, მონღოლთა ბელადის **ჩოიბალსანის**, ჩეხეთის პრეზიდენტის **კლემენტე ჰოტვალდის**, ანგოლის ნაციონალური ლიდერის **აუგუსტინო ნეტოს** და გაიანის პრეზიდენტის **ლინდონ ფორბს ბერნჰემის** გვამები უკვე მიწასაა მიბარებული.

# ჩინეთმა კოსმოსში კიდევ ორი „ტაიკონავტი“ გაგზავნა

**ოთხშაბათს დილით, ორბიტაზე გაგზავნეს მეორე პილოტირებული ჩინური კოსმოსური ხომალდი „შენჯოუ-6“. ამას იტყობინებოდა სინჰუას სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო.**

ამჯერად კოსმოსურ ორბიტაზე გაგზავნეს ორი კოსმონავტი — ფეი ძიუნლუნი და ნე ჰაიშენი; კოსმოსში მათი ხუთდღიანი ყოფნის პროგრამაში შედის მთელი რიგი სამეცნიერო ექსპერიმენტების განხორციელება.

„შენჯოუ-6“ ხომალდი კოსმოსში გაშვებით თავისებურად აღნიშნეს კოსმოსურ სახელმწიფოდ ჩინეთის გადაქცევის ორი წლისთავი. როგორც ცნობილია, ამ ქვეყანამ პირველი პილოტირებული კოსმოსური ხომალდი 2003 წლის ოქტომბერში გაუშვა.

პირველი სტარტისგან განსხვავებით, „შენჯოუ-6“ ხომალდის გაშვება ჩინეთის ხელისუფლებამ უჩვენა სახელმწიფო ტელევიზიის პირდაპირი ეთერით. მეთვალყურეთა აზრით, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩინეთის ხელისუფლება ამჯერად უფრო მეტად იყო დარწმუნებული წარმატებაში.

სტარტიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ჩინეთის ფრენის მართვის ცენტრი იტყობინებოდა, რომ პირველი საფეხური წარმატებით გამოეყო რაკეტას და ფრენა გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა.

„შენჯოუ-6“ ხომალდი გაუშვეს გობის უდაბნოში მდებარე ძიუციუანის სასტარტო მოედნიდან, დასაშვები აპარატი კი უნდა დაბრუნდეს ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე შიდა მონღოლეთის რაიონში.

კოსმოსურ პროგრამას ჩინეთი მსოფლიო სუპერსახელმწიფოდ გადაქცევის საქმეში უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. ამ სტარტების წყალობით, ჩინეთი — რუსეთისა და შეერთებული შტატების შემდეგ — გახდა მესამე ქვეყანა, რომელმაც დამოუკიდებლად გაიყვანა ადამიანი კოსმოსში. პეკინი თავის სარაკეტო პროგრამაზე 1950-იანი წლებიდან მუშაობს, პირველი ჩინური თანამგზავრი კი ორბიტაზე გავიდა 1970 წელს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კოსმოსური პროგრამა მჭიდროდ უკავშირდება სამხედროს, იგი არის ეროვნული სიამაყის საგანი და მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მას. ქვეყანას 2010 წლისთვის დაგეგმილი აქვს უპილოტო აპარატი გაუშვას მთვარეზე, აგრეთვე, ააგოს დედამიწისირგვლივ ორბიტაზე საკუთარი სადგური.

„შენჯოუ-6“ აპარატი, ისევე როგორც მისი წინამორბედი, აგებულია საბჭოთა „სოიუზების“ ტიპის მიხედვით, რომლებიც ჯერ კიდევ 1960-იანი წლების დამლევს შეიქმნა.

ამ მისიისთვის ორი კოსმონავტი შეარჩიეს 14 ყოფილ მფრინავ-ავიაგამანადგურებელს შორის.



# სუნიტების პარტია ერაყის კონსტიტუციას მხარს დაუჭერს

**ერაყის ერთ-ერთმა წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიამ, რომელიც იცავს ქვეყნის სუნიტი მოსახლეობის ინტერესებს, განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს ერაყის კონსტიტუციის პროექტს.**

ეს პრესკონფერენციაზე გამოსვლისას თქვა ერაყის ისლამური პარტიის პრესმდივანმა აიად სამარაიმ. ერაყელი ქურთებისა და შიიტების წარმომადგენლებმა მიაღწიეს შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ კონსტიტუციის პროექტს გადასინჯავენ დეკემბერში დანიშნული არჩევნების შემდეგ, თქვა მან.

მრავალი ერაყელი სუნიტი ილაშქრებს კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ, რომლის ირგვლივაც რეფერენდუმი უნდა გაიმართოს შაბათს. სუნიტები შიშობენ, რომ კონსტიტუციის ამჟამინდელი სახით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის დაშლა.

როგორც ერაყის პრემიერ-მინისტრის იბრაჰიმ ჯააფარის პარტიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, ახალ პარლამენტში შეიქმნება სპეციალური კომიტეტი, რომელმაც ოთხი თვის განმავლობაში უნდა განიხილოს კონსტიტუციაში შეტანილი შესწორებები. სავარაუდოდ, ოფიციალური განცხადება ამის თაობაზე ერაყის პარლამენტში უახლოეს დღეებში გაკეთდება.

ერაყში მოქმედი კანონების თანახმად, რეფერენდუმის დროს, თუ ქვეყნის 18 პროვინციიდან სამის მოსახლეობა ხმათა ორი მესამედით უარყოფს კონსტიტუციის პროექტს, დოკუმენტი მიღებული არ იქნება.

სუნიტებს დიდი გავლენა აქვთ ქვეყნის სულ ცოტა ოთხ პროვინციაში მაინც და ამიტომაც ფაქტობრივად, შეუძლიათ ვეტო დაადონ კონსტიტუციის მიღებას.



# ლონდონი ბასრაში მომხდარი ინციდენტის გამო კომპენსაციას გადაიხდის

**ბრიტანეთის მთავრობა მზად არის გადაიხადოს კომპენსაციები იმ მსხვერპლისა და ნგრევის გამო, რომელიც გამოიწვია ერაყში ორი ბრიტანელი სამხედროს გათავისუფლებისთვის გამიზნულმა ოპერაციამ.**

სამი კვირის წინ ბრიტანეთის ჯარებმა შტურმით აიღეს ერაყის პოლიციის უბანი, რათა გაეთავისუფლებინათ იქ მყოფი თანამოსამსახურეები.

ბრიტანელმა სამხედროებმა თავიანთი ასეთი მოქმედება გაამართლეს იმით, რომ დაკავებული ჯარისკაცები მტრულად განწყობილმა პოლიციელებმა ადგილობრივ მოთარეშეებს გადასცეს.

პოლიციის უბნის შენობის კედლების ჩამონგრევის, აგრეთვე, ამ ფაქტის გამო გამართული საპროტესტო დემონსტრაციის დარბევის დროს დაიღუპა და დაშავდა რამდენიმე ერაყელი.

ბრიტანეთის საკონსულომ და ქალაქ ბასრის საბჭოს კომიტეტმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც სინანული გამოთქვეს იმის გამო, რომ ოპერაციის შედეგად „იყო მსხვერპლი ორივე მხრიდან“, აგრეთვე, დაზიანდა საზოგადოებრივი შენობები. „ბრიტანეთის მთავრობა მზად არის გადაიხადოს კომპენსაციები დადგენილი წესის მიხედვით“, — ხაზგასმულია განცხადებაში.

ქალაქ ბასრის ადგილობრივმა საბჭომ ბრიტანეთის ხელისუფლებას მოსთხოვა ბოდიშის მოხდა და კომპენსაციების გაღება მანამ, სანამ იგი დათანხმდებოდეს ბრიტანეთის ძალებთან თანამშრომლობის განახლებას.

19 სექტემბრის შემდეგ შეწყდა ბრიტანელი სამხედროების და ერაყელი პოლიციელების ერთობლივი პატრულობა.

ბრიტანეთის ხელისუფლება გამოთქვამს იმედს, რომ მომავალში აღარ განმეორდება 19 სექტემბრის მსგავსი ინციდენტები.



# მოკლედ

**ანგელა მერკელი** ეცდება, ურთიერთობა განამტკიცოს შეერთებულ შტატებთან და ნაკლებად მტკიცე კონტაქტები იქონიოს რუსეთთან. კერძოდ, ბერლინი ეცდება, აღმოფხვრას ის უთანხმოება შეერთებულ შტატებთან, რომელიც შრედერის დროს წარმოიქმნა ერაყში ომის გაჩაღებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, მეტნაკლებად შეასუსტოს მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც კანც-



ლერ შრედერს ჰქონდა რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან. შეერთებული შტატების წარმომადგენლები მოუთმენლად ელიან ახალ ცვლილებებს ბერლინის პოლიტიკაში.

* * *

**უკრაინის** გენერალურმა პროკურორმა სვიატოსლავ პისკუნმა განაცხადა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ვიქტორ იუშჩენკო მოწამლეს „მკვლელობის მიზნით“ და გენერალურმა პროკურატურამ შეძლო ამის დამტკიცება. ამავე დროს, როგორც პისკუნმა თქვა, მოწამვლის საქმე „უკანონოდ დახურა უკრაინის ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა ვასილიევმა“.

* * *

**ბალის** კუნძულზე ათასამდე დემონსტრანტმა, რომლებსაც სურდათ სასტიკად გასწორებოდნენ სამ სიკვდილმისჯილ ტერორისტს, შტურმით აიღეს ქალაქ კეროზაკანის საპყრობილე. მართალია, სიკვდილმისჯილები წინა დღით სხვა ციხეში გადაიყვანეს, მაგრამ საკნებში მაინც დარჩა ბალიზე მომხდარი ტერაქტების გამო მსჯავრდებული ათობით სხვა პატიმარი.

* * *

**ამერიკის შეერთებული შტატების** ეროვნული დაზვერვის დირექტორის საიტზე განთავსებულია „ალ-ყაიდას“ ხელმძღვანელობაში, ეგრეთ წოდებული, „მეორე კაცის“ აიმან აზ-ზავაჰირის წერილი, რომელიც მან გა-



უგზავნა ერაყში ორგანიზაციის აგენტს აბუ მუსაბ აზ-ზარქავის. ეს დოკუმენტი, რომელიც ამერიკელთა ჯარებმა ხელში ჩაიგდეს მიმდინარე წლის ზაფხულში, შეერთებულ შტატებს „უქმნის ყოველმხრივ წარმოდგენას ერაყსა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ „ალ-ყაიდას“ სტრატეგიის შესახებ“ და ამერიკელებს აძლევს საშუალებას, დაინახონ, თუ რა აქვს „განზრახული მოწინააღმდეგეს“, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

* * *

**ყირგიზეთში** ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამხედრო ბაზით სარგებლობის თაობაზე გამართული ხანგრძლივი მოლაპარაკების დასრულების შემდეგ, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ყირგიზეთის ხელმძღვანელობასთან დადო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ანტიტერორისტული კოალიციის ძალებს შეუძლიათ განუსაზღვრელი დროით გამოიყენონ „მანასის“ აეროპორტი.

◎ ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

# 10. „აღარა ღირს, მგონი, ფიქრი დიდხანს, წავიდეთ თუ არ წავიდეთ ხიხანს“

**დღე თვალსა და ხელს შუა მიილია. ცოტა დაღლილი ვარ და ერთი სული მაქვს, სანამ საწოლში ვდურთავდე თავს. გამგეობის წინ ვდგავართ, თვალყურს ვადევნებთ, როგორ ცლიან პლასტმასის გოფრირებულ მილებს, რომლებიც საკრებულოთა წყალგაყვანილობისთვის არის განკუთვნილი. გამაცნეს გამგებლის მოადგილე რევაზ მიქელაძე — მაღალი, თვალადი ვაჟკაცი. თუ ხვალ კარგი ამინდი იქნა და რევაზსაც ხელი არაფერმა შეუშალა, მისი „ჯიპით“ ხიხანზე ავალთ. ეს ჩემი დიდი ხნის ოცნებაა: როგორც ეთერმა ბრძანა, იქიდან სულ სხვანაირად მოჩანს საქართველო...**

შემოგვიერთდა ავთანდილ ბოლქვაძე — ეტყობა, მაინც „გამოექცა“ საქმეს ბათუმიდან. დაიწყეს ვარიანტების გარჩევა: ხომ არ აჯობებს, რომ ბეშუმში ავიდეთ და ხიხანზე ასვლა იქიდან ვცადოთ? ხიხანის გადასახვევთან გზის ერთი მონაკვეთი წყალს გადაურეცხავს. მანქანა ვერ გავა და დიდი მანძილის გავლა ფეხით მოგვიწევს. ისე ძალიან მინდა ხიხანისთვის თვალის შევლება, მზადა ვარ, ამის სანაცვლოდ სული ეშმაკებსაც მივყიდო! — მე ვერ წამოვალ, — ჩაილაპარაკა ეთერმა. მიზეზი ვიცი: მამა ჰყავს ავად. წესით და რიგით, ახლაც იმასთან უნდა ყოფილიყო, მაგრამ სტუმარმასპინძლობის დიდი რიდი აქვს.

— ღამეს ჩემს ძმასთან გაათევთ, — მეუბნება ავთანდილი. შარშანაც ნოდარ და რუსუდან ბოლქვაძეების ოჯახს ვსტუმრობდი. აღარ მინდა მათი შეწუხება, მაგრამ ვინ გისმენს! ჯერ ერთი, სათქვენო სასტუმრო არა გვაქვს, მეორეც, ნოდარმა დამიბარა, ელგუჯას ჩემს ოჯახში თუ არ მოიყვან, თვალით არ დამენახოო. ერთი სიტყვით, ისეთი არგუმენტია, წყალი არ გაუვა! ნოდარი ახლა ბათუმშია, ადიგენელ მეგობრებს ახლავს.

ისევ ნაცნობი კუტიკარი, ვიწრო ბილიკი და გაჩახჩახებული დერეფანი. გაღიმებული დიასახლისი კართან მეგებება და როგორც ახლობელს, ისე უშუალოდ მეუბნება, გელოდითო. უკვე ფუსფუსებს რძალი ია, ოთახში კი მისი პატარა გოგონა. ორი წლის ლიზიკო დაცუნცულებს.

სტუმარი საქართველოს ყველა კუთხეში ღვთის საჩუქრად მიაჩნიათ, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, ეს დამოკიდებულება მთაში უფრო გამოკვეთილია... აჭარულ საუბარსაც უკვე კარგად ვიცნობ: ვიცი, სულ პირველად რას მოიტანენ, მერე იმას რას მოაყოლებენ... ცოტა უცხო სუნელი, ცოტა უცხო გემო და... მაინც რაღაც მშობლიური, გულს რომ გაგითბობს — თბილისში ამის მეათედ პატივსაც ვერ გცემთ, — ვეუბნები მასპინძელს — „თქვენ უკვე იმდენი პატივი გვეცით, ჩვენი ამბები მთელ ქვეყანას გააგებინეთ“. სუფრას ეთერი, ავთანდილი და მე ვუზივართ. ვიგონებთ თხუთმეტი თუ ოცი წლის წინანდელ ბაქოს ამბებს, თან ხვალინდელ გეგმებს ვაწყობთ: გზადაგზა სკოლებიც უნდა ვნახოთ, სხალთაშიც შევიაროთ და ხიხაძირელებსაც გავესაუბროთ. გული გვწყდება, ეთერი ჩვენთან რომ არ იქნება, მაგრამ საიმედო მეგზურები კი მეყოლებიან — ავთანდილი და რევაზი. მოვიკითხე ჩვენი შარშანდელი მძღოლი ალი, მთელი სამი დღე ერთგულად რომ გვემსახურებოდა, მითხრეს, სოფელში დაბრუნდა და შინა მეურნეობას მიჰყოო ხელი.

უკვე გვიანია და ავიშალეთ — თქვენ უკვე იცით თქვენი ოთახი, მოისვენეთ, — მეუბნება ქალბატონი რუსუდანი. ვწვები ქათქათა ლოგინში. ნოდარი ჯერაც არ დაბრუნებულა ბათუმიდან. ფანჯრიდან ვარსკვლავიანი ცა იცქირება. სიჩუმე, სიჩუმე! ჰაერი ისეთია, მართლაც უკარაქოდ წაუსვი პურზე და მიირთვი!

დილით შვიდის ნახევარზე მეღვიძება. მშვენიერი ამინდია, ესე იგი, ხიხანს დავლაშქრავთ! ფანჯრიდან ახლა პატარა ლიზის



სარეცხი მოჩანს — რეიტუზები, კაბები, მაისურები... პატარა ბოსტანში წიწაკა, მწვანილი, კომბოსტო გალაღებულა — აქ თითოეულ გოჯ მიწას მზრუნველობენ. ესეც ბევრის მთქმელია. ვდგები, პირს სახელდახელოდ ვიბან, ისევ ოთახში ვბრუნდები და ჩანაწერებს ვაკეთებ. მაინც, რა შეიცვალა ამ ოჯახისთვის განვლილ ერთ წელიწადში? ნოდარს მუშაობა დაუწყია — ახლა ის რაიონის განათლების, კულტურისა და სპორტის განყოფილების გამგის მოადგილეა. ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონს ეს თანამდებობა კონკურსით მოუპოვებია. სამაგიეროდ, შემცირებაში მოყოლილა მისი ვაჟიშვილი ნუკრი, საპასპორტო მაგიდის ყოფილი მუშაკი. რას იზამ, დღეს ასეა ცხოვრება მოწყობილი. ხშირად კანონზომიერება ირღვევა და კაცმა არ იცის, რა გზას დაადგეს...

შემოსასვლელში ხმები ისმის. გამოვდივარ და... სუფრა უკვე გაშლილია! ეთერიც აქ ბრძანდება და ავთანდილიც. მოდის ლიზიკო და შემომჩივის, იამ მცემაო, თან ერთ ადგილზე პაწია ხელებს იტყაპუნებს. სასაჩუქროდ არაფერი მაქვს. კალმისა და ქაღალდის მეტი. „გულში ჩიტივით სურვილი მიზის, უნდა გავენდო პატარა ლიზის: შენ, სიყვარულის დილის ცისკარო, დარდი და ურვა არ მიიკარო, იფრინე, როგორც მერცხალს სჩვევია, გზა უამრავი — ასარჩევია, გიყვარდეს ზეცის ცრემლით ნამული, შენი ლამაზი დედულ-მამული!“

ნოდარიც გამოჩნდა გაშლილი ხელებით, მერე მისი ადიგენელი მეგობრებიც შემოგვემატნენ. სამი საათი იყო, ბათუმიდან რომ დავბრუნდი და ვერ გაგაღვიძეო, — მეუბნება მასპინძელი.

— მამა ცოტა უკეთ არის, შეიძლება მეც დაგემგზავროთ, — ამბობს ეთერი.

და მახსენდება მისი ნაამბობი: ბატონი რეჯები ნახევარი საუკუნე მუშაობდა სკოლაში. ვინ იცის, რამდენი ბავშვი აღზარდა, რამდენი აზიარა ცხოვრების ანა-ბანას, აი, თავის ქალიშვილს კი ვერაფერში მიეხმარა, რომ ნამდვილად კუთვნილი „წითელი ატესტატი“ ხელიდან არ წაეგლიჯათ. ძალიან გაუჭირდა უმაღლესში ჩარიცხვა — ხან ერთ საგანში უწერდნენ დაბალ ნიშანს, ხან მეორეში. მართლაც რკინის ქალამნები ჩაიცვა დედის მაგიერმა და გაზრდილი არავის დააჩაგვრინა. სხვათა შორის, ჩემს სიცოცხლეში გერის პირიდან პირველად მოვისმინე დედინაცვალის ასეთი ქება. ქალბატონმა ეთერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი კარგი ქალობა!

ჩანს, ნოდარ და რუსუდან ბოლქვაძეებს სტუმარი არასოდეს აკლიათ. ახლაც შემოგვემატნენ ნოდარის კოლეგა რამინ შავაძე, რომელმაც მურმანის არაერთი ლექსი მითხრა ზეპირად. მოვიდა ხულოს სახელმწიფო თეატრის დირექტორი სულიკო თავართქილაძეც. მასზე წინა წერილებში უკვე გიამბეთ. ეტყობა, მოსწრებული სიტყვის ფასი იცის. ერთი ექიმი გვყავდაო, ხუმრობდა ხოლმე, ხულოში მუშაობას რა უნდა, ავადმყოფი მოკვდება — ღმერთს დააბრალებენ, გადარჩება და ექიმსო. ღმერთს ევედრებოდა ხოლმე, მე რომ მეკადრება, ისე ნუ მომკლავ, შენ რომ გეფერებიან, ისე წამიყვანეო. მართლაც, დაიძინა და ძილში გაიპარა...

ამასობაში დიდებული მზეც ამოჩახჩახდა. ახლა კი დროა, ავახვიოთ ლარები: „აღარა ღირს, მგონი, ფიქრი დიდხანს, წავიდეთ თუ არ წავიდეთ ხიხანს“.

ქუჩაში გამოვდივართ და გეზს გამგეობისკენ ვიღებთ...

**ელგუჯა ლებანიძე**
„სრ“ სპეც. კორ.
თბილისი — ხულო — თბილისი.

**სურათზე: (მარცხნიდან): ავტორი, ეთერ დეკანაძე, ავთანდილ ბოლქვაძე.**

◎ ზრუნვა

# დაუვიწყარი წარსული არდადეგები



**დევნილ ბავშვებზე ზრუნვა სახელმწიფოსთვის მართლაც ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. ამ მხრივ წლევანდელი წელიწადი გამორჩეულიც კი იყო. შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე სულ 440 ბავშვმა დაისვენა, რომელთაგან 322 აფხაზეთიდან, 88 — სამაჩაბლოდან და 30 — მესხი რეპატრიანტების შვილები იყვნენ.**

ამ ბავშვების უმრავლესობა ობლები არიან. ზოგი მათგანი ინვალიდია. სოხუმის რაიონის ახალდაბელი მონიკა გასვიანი ცერებრალური დამბლითაა დაავადებული. ამიტომაც ის ზინა ბებიასთან ერთად ისვენებდა. მონიკას მამა აფხაზეთისთვის ბრძოლაში დაიღუპა. იყო მეორე ასეთი შემთხვევაც — ტყვარჩელელი დიანა დეკანოიძეც ბებიასთან, ვერა რებკოსთან ერთად ისვენებდა. ნათია გერლიანი სამი თვის იყო, მამა ომში რომ მოუკლეს. აფხაზეთი დედასთან ერთად დატოვა. ახლა უკვე 12 წლისაა და ისეთი ნიჭიერი და მხიარული გოგონაა, დამსვენებელთა სული და გული იყო.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილთა სოციალური საკითხების დეპარტამენტის უფროსმა **ავთანდილ ძაგანიამ** გვითხრა, რომ ადგილებზე ბავშვთა დასვენებისა და მომსახურებისთვის ყველა პირობა იყო შექმნილი. ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ ოთხჯერადი კვებით. ურეკში, ევროსაბჭოს ეგიდით, 150 ბავშვმა დაისვენა, ამ ღონისძიებას საქართველოს კულტურის სამინისტრო ხელმძღვანელობდა.

საგულისხმოა, რომ მესხ რეპატრიანტთა ოჯახების შვილებიც არ დავიწყებია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში მცხოვრები ტელმან ერისთავი ჩართული იყო ამ საქმიანობაში. აღსანიშნავია, რომ სწორედ ბატონ ტელმანის ვაჟი დაჩი ერისთავი ხელმძღვანელობდა მესხ რეპატრიანტ ბავშვებს. ისინი ისე დაუახლოვდნენ და დაუმეგობრდნენ დევნილ თანატოლებს, რომ დღემდე აქვთ ერთმანეთთან მიმოწერა.

გარდა ამისა, წლეულს დევნილი ბავშვები საზღვარგარეთაც ისვენებდნენ. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელი **ალიონა ჩხოტუა** თვითონ ახლდა დევნილ ბავშვებს საბერძნეთში, კერძოდ, ქალაქ ზაკინთოსში. ქართველ ბავშვებს ყურადღება არ მოკლებიათ საბერძნეთში საქართველოს საელჩოს მხრიდან. საელჩოს წარმომადგენლები გიგი გიგიაძე, ნანა ხურცილავა, დესპანი ზურაბ დვალიშვილი მუდმივად ზრუნავდნენ ბავშვების სრულფასოვან დასვენებაზე, რამდენი რამ ნახეს, რამდენ რამეს იხსენებენ დევნილი ბავშვები საბერძნეთში გატარებული დღეებიდან. სჯობს, ამაზე თვითონ ალიონა ჩხოტუას მოვუსმინოთ:

— პროგრამა განხორციელდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საბერძნეთის ეროვნული განათლებისა და სოციალურ ურთიერთობათა სამინისტროს მიერ. ამაში დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს საელჩომ საბერძნეთში. შეირჩა 22 ბავშვი, რომელთაგან ერთი — ზვიად ლაფიშბა ეროვნებით აფხაზია. დანარჩენები იყვნენ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან. ყველა მათგანი არის ობოლი. ბავშვები შეარჩიეს რეგიონულმა სამმართველოებმა. დევნილი ბავშვების გამგზავრება ათენამდე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ იკისრა. ათენში დაგვხვდა იქაური განათლების სამინისტროს წარმომადგენელი. ათენიდან ჩვენ კუნძულ ზაკინთოსზე გავემგზავრეთ. ეს არის ფანტასტიკურად ლამაზი კუნძული. ისე მოეწონათ იქაურობა ბავშვებს, რომ მართლა აღარ უნდოდათ იქიდან წამოსვლა. კუნძულზე 15 დღე დავყავით. ბავშვებმა ნახეს და დაათვალიერეს ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი. ამ მიზნით ყოველდღე ავტობუსით გავდიოდით ჩვენი საზაფხულო ბანაკიდან. ვნახეთ თეატრები, მუზეუმები, ვესწრებოდით სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს. ათენის აკროპოლისმა ხომ ყველანი მოგვხიბლა და მოგვხიბლა...

განსაკუთრებით გვიზიდავდა ეკლესიები. შემოვიარეთ ყველა ძველი ეკლესია. იქ შესულთ მსახურნი გვეკითხებოდნენ, ვიყავით თუ არა მართლმადიდებლები და მხოლოდ ამის შემდეგ გვაძლევდნენ ხატებთან მთხვევის უფლებას. ხმელთაშუა ზღვაც ძალიან მოეწონათ ბავშვებს. ბოლო დღეს ბერძენმა პედაგოგებმა ჩვენს პატარებს „ბუნების გაკვეთილი“ ჩაუტარეს, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. ამავე დროს, ჩვენი ბავშვების მომზადების დონითაც მოიხიბლნენ იქაურები. მათ ხუთი მათგანიც კი შეარჩიეს, რათა გაისადაც ისინი მიიწვიონ. ბავშვები კმაყოფილნი, საჩუქრებით ხელდამშვენებულნი დაბრუნდნენ შინ...

ამასთან, ათენიდან გამომგზავრების წინ ჩვენები შეხვდნენ საბერძნეთის განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს. მინისტრის მოადგილემ ბავშვებს საჩუქრები გადასცა. ეს იყო ოლიმპიური საათები, ბავშვებს სამახსოვროდ დაურიგეს, აგრეთვე, ბერძნული ჯვრები.

ცოტნე ეზუხბაიას, თამუნა ტაბატაძეს, ვახტანგ ბალათურიას, ეკა ქესანაშვილს, ალეკო რაზმაძეს, მარიამ გაფრინდაშვილს,



ქეთინო კუციას და სხვებს არასდროს დაავიწყდებათ წლევანდელი ზაფხული. ახლა ისინი უკვე თავიანთი სკოლის მერხებს უსხედან და მეგობრებს უზიარებენ საბერძნეთში მიღებულ შთაბეჭდილებებს.

**ლია ჭილლაძე**

**სურათებზე: ქართველი ბავშვები ათენის აკროპოლისში; შეხვედრა საბერძნეთის ეროვნული განათლებისა და რელიგიურ ურთიერთობათა სამინისტროში.**


## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი“ ატარებს კომერციულ კონკურსს

## საზოგადოების ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: საქართველოს რეზიდენტ, არარეზიდენტ პირებს:**

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტების შესახებ:

მეიჯარე — შპს „საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი“

მისამართი — ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №31

იჯარით გაიცემა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრის“ ბალანსზე რიცხული რუსთაველის გამზირი №31-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი:

1. ფართის ოდენობა — 43 კვმ; ფართის განთავსების ადგილი — I სართული; ფართის დანიშნულება — სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა — საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი — 860 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა — 5 წელი.

2. ფართის ოდენობა — 47 კვმ; ფართის განთავსების ადგილი — I სართული; ფართის დანიშნულება — სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა — საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი — 940 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა — 5 წელი.

3. ფართის ოდენობა — 41,5 კვმ; ფართის განთავსების ადგილი — V სართული; ფართის დანიშნულება — სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა — საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი — 415 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა — 5 წელი.

4. ფართის ოდენობა — 32,6 კვმ; ფართის განთავსების ადგილი — VI სართული; ფართის დანიშნულება — სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა — საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი — 586,80 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა — 5 წელი.

5. ფართის ოდენობა — 31 კვმ; ფართის განთავსების ადგილი — VI სართული; ფართის დანიშნულება — სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა — საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი — 558 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა — 5 წელი.

6. ფართის ოდენობა — 23,4 კვმ; ფართის განთავსების ადგილი — VI სართული; ფართის დანიშნულება — სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა — საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი — 421,20 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა — 5 წელი.

7. ფართის ოდენობა — 25 კვმ; ფართის განთავსების ადგილი — VI სართული; ფართის დანიშნულება — სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა — საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი — 450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა — 5 წელი.

8. ფართის ოდენობა — 24 კვმ; ფართის განთავსების ადგილი — VI სართული; ფართის დანიშნულება — სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა — საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი — 432 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა — 5 წელი.

9. ფართის ოდენობა — 38,2 კვმ; ფართის განთავსების ადგილი — VI სართული; ფართის დანიშნულება — სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა — საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი — 687,60 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა — 5 წელი.

10. ფართის ოდენობა — 48,75 კვმ; ფართის განთავსების ადგილი — VI სართული; ფართის დანიშნულება — სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა — საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი — 877,50 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა — 5 წელი.

11. ფართის ოდენობა — 50 კვმ; ფართის განთავსების ადგილი — VI სართული; ფართის დანიშნულება — სამეწარმეო საქმიანობა; ქირის ოდენობა — საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი — 900 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა — 5 წელი.

12. ფართის ოდენობა — 2 კვმ; ფართის განთავსების ადგილი — სახურავი; ფართის დანიშნულება — სარელეო რადიოსადგურის ანტენის განთავსება; ქირის ოდენობა — საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი — 200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ყოველთვიურად დღგ-ს ჩათვლით; იჯარის ხანგრძლივობა — 5 წელი.

**ფართის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები:**

**— მოიჯარის მიერ ყოველთვიურად საიჯარო ქირის 100 პროცენტის გადახდა (კომუნალურ გადასახადებთან ერთად).**

**— საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, იჯარით გაცემული ფართი უბრუნდება მეიჯარეს.**

**— ფართის გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ კონკურსში გამოცხადებული მიზნობრივი დანიშნულებისათვის.**

**— ქირის ოდენობაში მითითებული ფასები შეიცავს დღგ-ს.**

განსაკუთრებული პირობა: საწარმოს (მეიჯარის) პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციისა და ჯარიმების გარეშე.

მოიჯარის სამეწარმეო საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შენობის ფუნქციონალურ დანიშნულებას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება წარმოებს კონკურსის ჩატარების თარიღამდე **ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში. 15-დან — 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.** იმ შემთხვევაში, როდესაც **30-ე კალენდარული დღე** ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება **მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს 17 საათზე.** კონკურსი ჩატარდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრის“ შენობაში, **2005 წლის 11 ნოემბერს — 17 საათზე.** მისამართი: **ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №31, VII სართული.**

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი ფინანსური წინადადება მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;

გ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრის“ ა/ანგარიშზე (სსკბ „ბაზის ბანკი“, ა/ა 134048 კოდი 220101956) „ბეს“ შეტანის ქვითარი, რომლის ოდენობა შეადგენს საწყისი სარეკომენდაციო ფასის 50 პროცენტს, ეროვნულ ვალუტაში.

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები და ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლებს. **შენიშვნა: თითოეული კონკურსანტი, კონკურსის ჩატარების დროს ესწრება მხოლოდ მის მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტის გახსნას.**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და საიჯარო ქირის მაქსიმალური ოდენობის (არანაკლებ საწყისი საიჯარო ქირისა) გადახდა.

**საკონტაქტო ტელ: 98-86-90; 98-86-60; 99-64-87; მობ. 8(77)-422-790.**

**შპს „საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრის“ ადმინისტრაცია.**



## ბექტელ ინტერნეშენალ სისტემზ, ინქ

## კონფერენცია ქართველი ქვეკონტრაქტორების და მომწოდებლებისთვის სამუშაოს შეთავაზების შესახებ

ბექტელ ინტერნეშენალ სისტემზ, ინქ. – ამერიკული სამშენებლო-საინჟინრო კომპანია ბექტელის წარმომადგენლობითი ოფისი, ბექტელთან წინასწარ კვალიფიცირებული ქვეკონტრაქტორების ან მომწოდებლების რანგში თანამშრომლობით დაინტერესებულ კომპანიებს იწვევს **კონფერენციაზე**, რომელიც გაიმართება **2005 წლის 20 ოქტომბერს, 09:30 დან 12:00 მდე „ქორთიარდ მარიოტში“, დარბაზი №2 (მე-2 სართული)**.

კონფერენციის მსვლელობისას ბექტელი წარმოადგენს შემდეგ საკითხებს:

- საქართველოში ბექტელის საქმიანობის მიმოხილვა
- სამომავლო შესაძლებლობები ახალი, თანამედროვე სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობის მხარდასაჭერი სამუშაოების დროს (განთავსდებიან თბილისში და დანარჩენ საქართველოში)
- მოთხოვნები და პროცედურები, რომელიც საჭიროა, რათა გახდეთ ბექტელის ტენდერის მონაწილე
- ჩვენს წინადადებაზე მოთხოვნების პაკეტების განხილვა, რომლებიც გაიცემა ტექნიკური და სამშენებლო მომსახურებისთვის და კვოტირებაზე მოთხოვნის პაკეტების განხილვა, რომლებიც გაიცემა აღჭურვილობის და მასალების შესყიდვაზე
- ბექტელის ტენდერის, შეფასების და კონტრაქტის გაფორმების პროცესის ახსნა
- საკონტრაქტო შეთანხმების ტიპები,რომელსაც ბექტელი ყველაზე ხშირად იყენებს
- ფასების კალკულაციის და ანაზღაურების პირობები
- პირობებთან შესაბამისობის და ეთიკის მნიშვნელობა ჩვენს ბიზნეს შეთანხმებებში
- ბექტელის გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის მოთხოვნების და ქვეკონტრაქტორების მიერ მათი შესრულების მნიშვნელობა
- რა შედის ბექტელის მიერ მომზადებულ სამუშაოს აღწერის ტიპურ დოკუმენტში
- წარსადგენი მასალები, რომლებიც, როგორც წესი, მოეთხოვებათ ქვეკონტრაქტორებს სამუშაოების დაწყებამდე
- რა ტიპის აღჭურვილობას და მასალებს შეისყიდის ბექტელი ამჟამად ქვეყანაში და ჩვენი სამომავლო მოთხოვნები
- რა ტიპის ტექნიკური და სამშენებლო მომსახურების ქვეკონტრაქტებს დებს ამჟამად ბექტელი ქვეყანაში და ჩვენი სამომავლო მოთხოვნები
- დამსწრე საზოგადოების შეკითხვები ბექტელის პრეზენტაციის ბოლოს.

ამ კონფერენციის დროს პოტენციურ ქვეკონტრაქტორებს და მომწოდებლებს გადაეცემათ კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის / ქვეკონტრაქტორის კითხვარის პაკეტები და ეცნობებათ თუ როდის და რა მისამართზე უნდა გაუგზავნონ თავიანთი პასუხი ბექტელს. კომპანიების მიერ შევსებულ კითხვარს კი ბექტელი გამოიყენებს თქვენი კომპანიის კვალიფიკაციის შესაფასებლად და იმის გადასაწყვეტად, ჩართოს თუ არა თქვენი კომპანია ტენდერის მონაწილეთა სიაში, რის შემდეგაც კომპანიას გაეგზავნება წინადადებაზე მოთხოვნის პაკეტები.

იმისთვის, რომ თქვენი კომპანია ჩაითვალოს წინასწარ კვალიფიცირებულ ქვეკონტრაქტორად, მას უნდა გააჩნდეს გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის გეგმა და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბექტელის სტანდარტებს, რომლებიც განიხილება ამ კონფერენციის დროს.

თუ თქვენს კომპანიას აქვს საქართველოში მუშაობის ლიცენზია, სტაბილური ფინანსური მდგომარეობა და არის გამოცდილი, გირჩევთ აუცილებლად დაესწროთ ჩვენს კონფერენციას.

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“ მდებარეობს შემდეგ მისამართზე: **თავისუფლების მოედანი 4, 0105, თბილისი, საქართველო.**

**თქვენს კომპანიას ვთხოვთ, წინასწარ შეგვატყობინოს კონფერენციაზე დასწრების შესახებ. შეტყობინება უნდა გაუგზავნოთ ქ-ნ ლელა მაჩაიძეს ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე lmachaid@bechtel.com ან ტელეფონის ნომერზე 995 32 47-40-40, ან კიდევ გამოგზავნოთ ფაქსით ნომერზე 995 32 92-29-96, 2005 წლის 13 ოქტომბრამდე. რაკილა კონფერენციაზე ველით დამსწრეთა დიდ რაოდენობას, უმორჩილესად ვთხოვთ თითოეულ კომპანიას, გამოგზავნონ ორი (2) მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი.**

საქართველოს რესპუბლიკა

№ 237. ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი, 2005 წელი.



ენერგეტიკა

# კორექტულობა კარგი დივიდენდების მომტანია, როგორც პოლიტიკაში, ისე ენერგეტიკაში



**„დინამიურად განვითარებადი კომპანია" — ეს საქართველოში შპს „გაზპრომის" წარმომადგენლობის თავკაცის დავით მორჩილაძის მოხსენების თემა გახლდათ 11 ოქტომბერს გამართულ სემინარზე, რომლის თაობაზე გაზეთის გუშინდელ ნომერში ანონსიც შემოგთავაზეთ. შეკრება, რომელსაც, როგორც ვიტყობინებოდით, ენერგეტიკის, ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროების, ქვეყნისა და თბილისის მთავრობის, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ დინამიურად, საქმიან ვითარებაში წარიმართა.**

**გამოსვლაში** დავით მორჩილაძემ ვრცლად ილაპარაკა შპს „გაზპრომის" სადღეისო ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, კომპანიის მიმდინარე საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე.

— თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო იმ გარემოებას, რომ შპს „გაზპრომი" მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული ენერგეტიკული კომპანიაა და მასთან ერთობლივი პროექტების ფარგლებში თანამშრომლობას მრავალი, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყანაც ცდილობს, — თქვა დავით მორჩილაძემ, — ამასთან, ხაზი მინდა გავუსვა იმასაც, რომ შპს „გაზპრომის" მოღვაწეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება როგორც საკუთარი, ასევე პარტნიორების ენერგეტიკული უსაფრთხოებაა.

ბატონი მორჩილაძე საგანგებოდ შეეხო შპს „გაზპრომის" და საქართველოს, როგორც პარტნიორის, ურთიერთობას და აღნიშნა, რომ კომპანია, რომლის წარმომადგენელი ის არის, თავადაა დაინტერესებული ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობების გამყარებით, თუმცა „გაზპრომთან" თანამშრომლობის პოლიტიკა (რაც, პირველ ყოვლისა, ენერგოუსაფრთხოებასა და ნდობის მაღალ კოეფიციენტში უნდა აისახოს) თავად საქართველომ უნდა შეიმუშაოს.

ბატონმა დავით მორჩილაძემ დამსწრეთ დაწვრილებით მოუთხრო შპს „გაზპრომის" მოღვაწეობის, განვითარების ტენდენციების, ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის, რუსეთის ენერგეტიკაში მისი ადგილის, იურიდიული სტატუსის, სააქციო კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის, აქციების ფასის ზრდის ტენდენციისა და მრავალი სხვა ასპექტის შესახებ.

— შპს „გაზპრომის" სტრატეგიული მიზანია გახდეს გლობალური, ვერტიკალურად ინტეგრირებული ენერგეტიკული კომპანია, რომელსაც მსოფლიო ბაზარზე წამყვანი პოზიცია უკავია, — განაცხადა დავით მორჩილაძემ და იმედი გამოთქვა, რომ საზოგადოების პარტნიორთა შორის საქართველო ღირსეულ ადგილს დაიკავებს.

მან ისიც აღნიშნა, რომ რუსეთიდან მოწოდებული გაზის საფასურის თაობაზე მოლაპარაკება ორ მხარეს შორის ამჟამადაც მიმდინარეობს, განიხილება სხვადასხვა ვარიანტები, მათ შორის საქართველოსთვის ყაზახეთიდან გაზის მოწოდების საკითხიც.

ამასთან დაკავშირებით ბატონმა მორჩილაძემ განაცხადა, რომ თუკი გრძელვადიანი ურთიერთობის პერსპექტივები ნათლად არ გამოიკვეთა და მხარეებს შორის ლაპარაკი მხოლოდ გაზის ყიდვა-გაყიდვის მოკლევადიან შეთანხმებებზე იქნება, მაშინ ფასი, ცხადია, კომერციული იქნება.

შპს „გაზპრომის" საქართველოს წარმომადგენლობაში გამართული სემინარის მონაწილეთა აზრით, საქართველოსთვის, როგორც ენერგოდეფიციტური ქვეყნისთვის, მეტად მნიშვნელოვანია გაზის მოწოდების ალტერნატიული წყაროების არსებობა. გარდა ამისა, აღინიშნა ისიც, რომ ურთიერთობათა განმტკიცებისას მეტად მნიშვნელოვანია ე.წ. „ეკონომიკური დიპლომატიის" ბერკეტებით სარგებლობა, რასაც მხარეები, სამწუხაროდ, ნაკლებად მიმართავენ.

— პოლიტიკა გაზის ფასზე არ მოქმედებს, თუმცა გაზის ფასი პოლიტიკაზე ნამდვილად ახდენს ზეგავლენას, — ასეთია მოკლედ ერთ-ერთი საგულისხმო მოსაზრება, რომელიც სემინარზე გამოითქვა.

— ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს გაზით მომარაგებას ეხება, წლის მიწურულამდე, დეკემბრის თვემდე უნდა გაფორმდეს, ამდენად ფიქრის დრო არც თუ ბევრი გვაქვს, — განაცხადა დავით მორჩილაძემ.

სემინარის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ დამოუკიდებელი ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე დავით ნარმანია, სოროსის ფონდის წარმომადგენელი ირაკლი ხოდელი. გამომსვლელებმა ილაპარაკეს ენერგეტიკისა და საბაჟო სტრუქტურების ურთიერთობაზე, გაზის იმპორტისა და ტრანზიტის ადმინისტრირების, საქართველოს ენერგეტიკულ და მინერალურ რესურსებზე, ამჟამად განხორციელების სტადიაში არსებულსა და სამომავლო პროექტებზე, რომელთა მიზანია ქვეყნის ენერგოსისტემის შეუფერხებელი მუშაობა.



კამათის დროს აზრი გამოითქვა, რომ შპს „გაზპრომი" ზოგჯერ პოლიტიკურად არაკორექტულ ნაბიჯებს დგამს. ამდენად კომპანიასა და საქართველოს შორის გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმება ამჟამად, შესაძლოა ნაადრევი იყოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ჯავარ ლომაძის ფოტო**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთი რუსი სამშვიდობოების მანდატის შეცვლას ეწინააღმდეგება

**აფხაზეთი არ თანხმდება კოლექტიური სამშვიდობო ძალების არსებული მანდატის შეცვლას, განუცხადა ჟურნალისტებს თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა, როცა კომენტარი გაუკეთა საქართველოს პარლამენტში ამ საკითხის განხილვის ფაქტს.**

ბაღაფშმა გამოთქვა იმედი, რომ საქართველოს პარლამენტს კარგად აქვს შეგნებული, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ მოუფიქრებელ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. ბაღაფშის აზრით, 1992-1993 წლებში ასეთ გადაწყვეტილებებს ემსხვერპლა ათასობით ადამიანი.

„თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ პარლამენტში მიიღებენ ასეთ გადაწყვეტილებას, ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ საქართველოს მხარე, რომ მას დაეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა დაპირისპირების ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის გამო. აფხაზეთის ხელმძღვანელობა ასევე აფრთხილებს საქართველოს, რომ ამაო იქნება სამშვიდობო ოპერაციის ინტერნაციონალიზაციისთვის გამიზნული ყოველგვარი მცდელობა", — ხაზგასმულია ბაღაფშის მიერ გაკეთებულ განცხადებაში.

„რუსეთის ფედერაცია პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს და სამშვიდობო ძალებმა შექმნეს საჭირო პირობები დადებული შეთანხმებების შესაბამისად კონფლიქტის მოწესრიგების მშვიდობიანი პროცესისთვის", — თქვა თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

აფხაზური მხარე ასევე საქართველოს აკისრებს პასუხისმგებლობას, აფხაზეთის ტერიტორიის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის პრობლემებზე მომუშავე ექსპერტების შეხვედრის ჩაშლის გამო. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა აფხაზეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა ლეონიდ ლაკერბაიამ, 10 ოქტომბრისთვის დანიშნული ექსპერტთა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო აფხაზ, ქართველ რკინიგზელებს და რუს სპეციალისტებს, არ გამართულა, მაგრამ ამაში აფხაზურ მხარეს ბრალი არ მიუძღვის.

„აფხაზური მხარე გამოთქვამდა წინადადებას ექსპერტთა შეხვედრის 10 ოქტომბერს გამართვის შესახებ, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს მხარეს არ დაუდასტურებია თავისი მონაწილეობა, შეხვედრის გამართვა გადაიდო", თქვა მან.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის აგვისტოში რუსმა და აფხაზმა ექსპერტებმა დაასრულეს სარკინიგზო ვაკისის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა.

НОВОСТИ

# მურატ ჯიოევი: გადაწყვეტილების მიღება სამშვიდობოთა მანდატის შესახებ, მხოლოდ ორმხრივი თანხმობით იქნება შესაძლებელი

**საქართველოს** საკანონმდებლო ორგანოს მიერ ამ ბოლო ხანებში გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ შესაძლოა მოხდეს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მშვიდობისმყოფელთა ყოფნის შესახებ მიღწეული შეთანხმების დენონსაცია და სამშვიდობოების გაყვანა კონფლიქტის ზონიდან, სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევმა ასეთი კომენტარი გაუკეთა: ამით საქართველოს მხარეს არ სურს აღიაროს 20 სექტემბერს ცხინვალისთვის ცეცხლის დაშენის ფაქტი. „სამშვიდობოთა მანდატის გადასინჯვისა და კონფლიქტის ზონიდან მათი გაყვანის ნებისმიერი მცდელობა სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ქართულმა მხარემ თავიდან აიცილოს დარტყმა, არ აღიაროს ცხინვალისთვის ცეცხლის დაშენის ფაქტი, რომლის დროსაც დაიჭრა 10 მშვიდობიანი მცხოვრები, მათ შორის, ორი ბავშვი", — თქვა ჯიოევმა.

სამხრეთ ოსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა გაიხსენა, რომ 1997 წელს, საქართველოს და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტების შეხვედრის დროს, მხარეებმა დადეს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ორივე მხარის თანხმობის პირობებში. „გარდა ამისა, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მყოფი სამშვიდობო ძალები ემორჩილებიან შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატს, და როგორც ცნობილია, ეს ფორმატი არის ოთხმხრივი, საქართველოს გარდა მასში შედიან სამხრეთ ოსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის და რუსეთის მხარეები", — აღნიშნა ჯიოევმა.

მინისტრი კატეგორიულად არ ეთანხმება ქართულ მხარეს იმაში, რომ კონფლიქტის ზონაში მყოფი სამშვიდობოები ვერ ართმევენ თავს დაკისრებულ ფუნქციებს და ამიტომ, საჭიროა მათი მანდატის გადასინჯვა. „მიგვაჩნია, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოთა საქმიანობა არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული", — თქვა მან.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ევროკავშირისა და შეერთებული შტატების ჩაბმის შესახებ, სამხრეთ ოსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა თქვა: „ჩვენ ყოველმხრივ გვაძლევს ხელს კონფლიქტის მოწესრიგების ის ფორმატი, რომელიც სადღეისოდ არსებობს".

REGNUM

კალათბურთი

# „ნიკორას" კვალი

**იმ დროს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განათლების ფსევდორეფორმის წყალობით თანდათან შორდება დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრეთა ნაოცნებარ უმაღლეს სასწავლებელს, გამოჩნდა კერძო სტრუქტურა, რომელმაც მართლაც მამულიშვილური ნაბიჯი გადადგა და თსუ-ს კალათბურთელ ვაჟთა თითქმის დაშლილი გუნდის გადარჩენა იტვირთა. ესაა ხორცისა და ხორცის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ნიკორა". მისი წარმომადგენელი, უფრო ზუსტად ბრენდმენეჯერი მამუკა ამირხანაშვილი თამამად აცხადებს, რომ კლუბი სერიოზულ მიზნებს, მათ შორის ევროპულ სარბიელზე გასვლას ისახავს მიზნად. თსუ „ნიკორას" პრეზიდენტის ამბიციების საფუძვლიანობა დუდუ დადიანის IV მემორიალმა დაადასტურა — ეს გუნდი დღეს 16 საათზე ფინალში „თბილავიამშენს" შეხვდება.**

გუშინდელი მატჩებიდან განსაკუთრებულ ინტერესს სტუდენტური დერბი — თსუ „ნიკორა" — სტუ იწვევდა, რომლის მოგებაც მამუკა ტურაშვილის შეგირდებს, ფაქტიურად, ორჯერ მოუხდათ. ისინი მთელი თამაშის განმავლობაში ქვეყნის მოქმედ ჩემპიონებს სოლიდური უპირატესობით უგებდნენ, რასაც, უმთავრესად, პრესინგითა და სწრაფი პირველი შეტევით მიაღწიეს (ი. ბერიშვილი — 22, მარხვაშვილი — 17 ქულა).

მაშინ, როცა პოლიტექნიკოსთა ჩამორჩენამ 28 ქულა შეადგინა, დუელის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა. ვერ გეტყვით, პერსონალურ შენიშვნათა სიმრავლის ბრალი იყო თუ ფსიქოლოგიური ფაქტორის, მაგრამ დასკვნით პერიოდში მანამდე აწყობილ მექანიზმში რაღაც ბზარი გაჩნდა, რამაც ნუგზარ ჭეიშვილის გუნდს ბრძოლის ხასიათში გარდატეხის შეტანის და სხვაობის საგრძნობლად შემცირების საშუალება მისცა — 94:98, მეტოქის საბოლოოდ გასატეხად, მართალია, სტუ-ს ძალები აღარ ეყო, მაგრამ მთავარი — ღირსება, ტექნიკოსებმა შეინარჩუნეს — 104:114. მათგან ყველაზე შედეგიანად ახალკაცი გაისარჯა — 24 ქულა.



გუშინვე რუსთავის „აზოტმა" თბილისის „დინამოს" სძლია 84:74 და დღეს III ადგილისთვის 14 საათზე სტუ-ს შეხვდება. „დინამო" და სსუ 12 საათზე V ადგილს გაითამაშებენ. ბოლო, VII ადგილი „მაქაბიმ" დაიკავა.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

ჭადრაკი

# ჩემპიონობისთვის ქულაღა სჭირდება



**ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატზე, არგენტინის ქალაქ სან-ლუისში რომ მიმდინარეობს, მეთორმეტე ტურში რუსეთელ პეტრე სვიდლერს ლიდერ ბულგარელ ვესელინ ტოპალოვისთვის რომ მოეგო, მაშინ მათ შორის განსხვავება ნახევარი ქულაღა იქნებოდა, მაგრამ სენსაცია არ შედგა — ლიდერი და მისი მთავარი მდევარი 21-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.**

ისე რომ, ახლა დარჩენილ ორ პარტიაში ტოპალოვს ერთი ქულა სჭირდება, რათა მსოფლიო ჩემპიონობამდე მიაღწიოს. ამისთვის ორი ყაიმი, ან ერთი გამარჯვებაა საკმარისი, თუმც ჯერჯერობით დაუმარცხებელი ბულგარელი დიდოსტატი მაინცდამაინც ბოლო ტურებში დამარცხდება? ახლა ის უახლოეს მდევრებს, ისინი კი, ამ ტურში ანანდის ლეკოზე გამარჯვების შემდეგ, ორნი არიან — სვიდლერი და ანანდი.

ამ ტურის ორი დანარჩენი პარტია კი ყაიმით დასრულდა — დაზავდნენ მოროზევიჩი პოლგართან და კასიმჯანოვი ადამსთან. დღეს ტოპალოვი „შავებით" ეთამაშება კასიმჯანოვს, სვიდლერი შეხვდება პოლგარს, ანანდი დაუპირისპირდება მოროზევიჩს, ხოლო ადამსი — ლეკოს.

მოახერხებს ტოპალოვი ვადამდე ადრე გაჩემპიონებას?

**ვალიკო სიმონიშვილი**

## ზურაბ აზმაიფარაშვილი: „რა თქმა უნდა, ტოპალოვი!"

**ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი ახლა არგენტინაში იმყოფება, ის სან-ლუისის მსოფლიო ჩემპიონატის სააპელაციო კომიტეტის წევრია.**

რას ფიქრობს იგი მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობის შესახებ?

— ყველაზე კარგად, რა თქმა უნდა, ტოპალოვი თამაშობს და გასაგებია, მიზანთან ახლოა.

მე თავიდან მთავარ ფავორიტად ანანდს ვთვლიდი, თუმცა გამოირკვა, რომ მისი მზადყოფნა მაქსიმალური არ აღმოჩნდა. ეს ლეკოზეც ითქმის, თუმცა იგი, ალბათ, საპრიზო ადგილს დაიკავებს. კასიმჟანოვს სათვალავში დასაწყისიდანვე არავინ აგდებდა, მაგრამ მისი თამაშის ხარისხი ამჟამად მეტად მაღალია.

თაოზა

# მოკრივე ქალი გვეზრდება?

**ბიძაჩემი მცხეთის რაიონის სოფელ ქსანში ცხოვრობს. იქაურობა მას შემდეგ უფრო შემიყვარდა, რაც ჩემი ბიძაშვილები წამოიზარდნენ. გიორგი თორმეტი წლისაა, ია ერთი წლით უმცროსია. მათაც უხარიათ ჩემი სტუმრობა — შორიდან დამინახავენ თუ არა, კისრისტეხით გამორბიან ჩემკენ. იმ დღესაც ვეწვიე ბიძაშვილებს. ალაყაფის კარი ხმაურით გავაღე, მაგრამ არავინ გამომეგება. გამიკვირდა. სწრაფი ნაბიჯებით გავიარე ეზო და თვალებს არ დავუჯერე: იას მოკრივის ხელთათმანები მოერგო და სახლის უკან ხეზე ჩამოკიდებულ „მსხალს" გამეტებით ურტყამდა.**

უცნაური გოგოა ია. სოფლის თანატოლი ბიჭები სულ დაწიოკებული ჰყავდა. სკოლაში რომ მიიყვანეს, იქაც დაერია თანაკლასელებს. რატომ აკეთებ-მეთქი, რომ ვკითხე, შეეშინდებათ და აღარ გამაბრაზებენო, მითხრა.

და კრივზე სიარულის ნება დაურთავთ.

— ჩვენს მწვრთნელს —ვასო ცერცვაძეს რომ ვუთხარი, მეც მინდა ვარჯიში-მეთქი, სიცილი დაიწყო, ეგონა, ვხუმრობდი, — გატაცებით მიყვება ია.

— მერედა, გოგოს კრივი რად გინდა?

— რა და, ბიჭები ნერვებს რომ მომიშლიან, ცხვირ-პირს ამოვუნაყავ. ქუჩაში არავისი შემეშინდება.

— შენ რა, ქუჩაში ჩხუბს აპირებ?

— თუ დამჭირდა, რატომაც არა.

— შენი მეგობარი გოგონები რას ამბობენ?

— მათთან იშვიათად ვთამაშობ. მეტიჩრები არიან. ჭორაობის მეტი არაფერი უნდათ. „ექიმობანას" და „მასწავლებლობანას" ფეხბურთი მირჩევნია.

იას ახირებას გიორგი ვერაფრით ეგუება და სერიოზულად ბრაზობს.

— არ მინდა, ჩემი და ბიჭებში იდგეს და მუშტებს იქნევდეს. კრივი რა გოგოს საქმეა? — ჯერ მე შემომჩივლა, შემდეგ დას მიუბრუნდა და დაემუქრა:

— კიდევ რომ დაგინახო დარბაზში შემოსული, იცოდე, მაგრად გცემ.

— ჰო, მცემ, თუ მომერევი! — გადაიხარხარა იამ და „მსხალს" ისე მოხდენილად დაუშინა მუშტები, რომ დიდ მოკრივესაც შეშურდებოდა.



მშობლებმა ჯერ პიანინოს, შემდეგ ფანდურის შემსწავლელ წრეში მიიყვანეს. მოუსვენარი გოგონა მუსიკამ ვერ გაიტაცა. ორი წელწადია, სამეჯლისო სპორტულ ცეკვებზე დადის ძმასთან ერთად. მიკვირს, როგორ გაძლო აქამდე.

რამდენიმე თვის წინათ ქსანში კრივის სკოლა გაუხსნიათ. ორმოცდაათამდე ბიჭი მისულა სავარჯიშოდ, მათ შორის გიორგი. იას თავი მოუკლავს — მე რითი ვარ თქვენზე ნაკლებიო. მშობლებიც შეჩვეული არიან ქალიშვილის ახირებას. იცოდნენ, თავისას არ დაიშლიდა

**ქეთი გაბინაშვილი**

**სურათზე: ია და გიორგი გაბინაშვილები ზოგჯერ ერთმანეთს კრივის ილეთებსაც კი ასწავლიან.**

ქველმოქმედი

# მარადონა ნარკომანიას ებრძვის



**მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი დიეგო მარადონა მონაწილეობას მიიღებს სარეკლამო საქველმოქმედო აქციაში — გაყიდის საათებს ნარკოტიკებზე დამოკიდებულების გაჯანმრთელების ნეაპოლის საზოგადოების „ვიზარდოთ ერთად" სასარგებლოდ. ამ მიზნით არგენტინელი აპირებს 20-ათასევროიანი ჩეკის გადაცემასაც.**

როგორც ჩანს, ფეხბურთის ლეგენდა არ ივიწყებს თავის წარსულს, როდესაც თავადაც უარს არ ამბობდა ნარკოტიკებზე. შემდეგ კი კარგა ხანს მკურნალობდა კუბაში.

სპორტულ ორბიტაზე

## ანრის შესანარჩუნებლად ფულს არ დაიშურებენ



**ლონდონის „არსენალი" მზადაა, ტიერი ანრის შესთავაზოს ყველაზე მაღალი ხელფასი კლუბის ისტორიაში, რათა მან გუნდი არ დატოვოს. ასეთი გადაწყვეტილება გამოიწვია ანრის მიერ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე მოლაპარაკების შეწყვეტამ, რამაც გამოიწვია იმის საშიშროება, რომ ის, შესაძლოა, ზაფხულში კლუბიდან წავიდეს.**

როგორც „არსენალის" პრეზიდენტმა პიტერ ჰილ-ვუდმა პრესას აცნობა, კლუბი ანრის გაცილებით მეტს გადაუხდის, ვიდრე კლუბიდან წასულ პატრიკ ვიეირას უხდიდნენ — ის კი სარეკორდო თანხას ღებულობდა — 82 ათას გირვანქა სტერლინგს (143,700 დოლარს) კვირაში.

„თუმცა ამაზე ჯერ არ გვილაპარაკია, — თქვა პრეზიდენტმა, — მაგრამ პატიოსნებას გეფიცებით, ის იქნება ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე „არსენალის" ისტორიაში — და ის ამას იმსახურებს".

28 წლის ანრი ამჟამად კვირაში 75 000 გირვანქას ღებულობს. კლუბთან მის კონტრაქტს კი ვადა 2007 წლის ივნისში გასდის.

## სკანდალებში გაისვარნენ

**აზიურ ფეხბურთს სკანდალებისაგან აცივ-აცხელებს. კონფლიქტი აგორდა ვიეტნამის ჩემპიონატში გარიგებათა მატჩების გამო. მასში უკვე ჩათრეულია 20 მსაჯი და პირველი და მეორე დივიზიონის 7 კლუბი. როგორც აზიური ფეხბურთის კონფედერაციის პრეს-სამსახური იუწყება, მისი ჩრდილი გადასწვდა ეროვნულ ნაკრებსაც.**

გამომძიებლების ყურადღება მიიპყრო ვიეტნამის ნაკრების მიერ წაგებულმა მატჩებმა — ტიგრ-98-ის თასის გათამაშების ფინალში სინგაპურის (0:1) და 2003 წელს შანხაის გუნდებთან (1:2). როგორც ამბობენ, ვიეტნამელები მაშინ მინდორზე არ იბრძოდნენ.



თუმცა მექრთამეობაში „ლიდერობას" არავის უთმობს კლუბი „აღმოსავლეთ აზიის ბანკი — პომინა სტალ", რომელსაც ბრალად ედება მსაჯების სისტემატური წახალისება. გუნდის მენეჯერები ამისთვის იყენებდნენ კლუბის ბიუჯეტის ნაწილს, რაც 567 ათას დოლარს შეადგენს.

ყველაფერი წესრიგში როდია იემენის ჩემპიონატზეც. ეროვნულ პირველობაზე გამარჯვებულმა კლუბმა „ალ-ტელალმა" უარი თქვა მოპოვებულ თასზე და ფედერაციას უკან დაუბრუნა, რადგან ის კლუბს საზეიმო ვითარებაში არ გადაეცა.

„ალ-ტელალმა" ეროვნული პირველობა ივლისში მოიპოვა, დაჯილდოების ცერემონია კი მხოლოდ 3 ოქტომბერს, იემენის პრეზიდენტის თასის გათამაშების ფინალური მატჩის შემდეგ გაიმართა, რაშიც ჩემპიონი არ მონაწილეობდა. „ალ-ტელალის" პრეზიდენტის აზრით, ჩემპიონი კლუბისთვის სპეციალური ზეიმი უნდა მოეწყოთ.

## „მარბელას პლაჟზე მნახეთ, ვინა ვარ!"

**ჩვენ მრავალჯერ დაგვიწერია ბრიტანული ფეხბურთის ვარსკვლავის ჯორჯ ბესტის ალკოჰოლით გადამეტებით გატაცებაზე. ახლაც ის ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში მორიგი ლოთობის შემდეგ მკურნალობს.**

მართალია, ალექს ბესტმა ვერ გაუძლო ქმრის განუწყვეტელ სმას და გაეყარა მას, თუმცა თბილი გრძნობები არ განელებია ამ უბედური კაცისადმი. ოქტომბრის დასაწყისში, როდესაც გადაბმულმა სმამ ერთხელ კიდევ დააყენა ჯორჯის „ყოფნა-არყოფნის" საკითხი, ალექსმა სასწრაფოდ შეწყვიტა ესპანური შვებულება და ყოფილ ქმარს ლონდონში მიაკითხა.



ალექს ბესტი მარბელაში ისვენებდა, სწორედ იქ, ადგილობრივ პლაჟზე გამოიჭირეს პაპარაცებმა გაზეთიდან The Sun, თანაც როგორც ამ ფოტოდან ჩანს, ძალზე პიკანტურ მომენტში.

სხვათა შორის, ჯორჯთან განქორწინების შემდეგ ალექსი სამუშაოდ კოსმეტიკის სალონში მოეწყო მკერდის დაყენების ინსტრუქტორად. მას წელიწადში 9 ათას გირვანქას უხდიან. შესაძლოა, მეტიც მიეღო, რადგან თავის მოსწავლეებს ალბათ, ბევრ, „კარგ რამეს" ასწავლის.

ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მარცხნიდან: სერგო ჯორბენაძე, შოთა მესხია, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, ვახტანგ აბაშმაძე, შალვა ნუცუბიძე.
1967 წელი.

გივი შეყილაძის ფოტოარქივიდან.

მიირთვით ხილი, სასარგებლოა!

# აჰა, შუა შემოდგომაც მოვიდა

**ხიდან თავს იწონებს ლოყაწითელა ვაშლი, ყურძენი დაიმკრახა, ატამი ისეთ სურნელებას აფრქვევს, ბაზრის დახლებზე ვინ გააჩერებს!**
**ჩვენს დალოცვილ მიწაზე რა ხილი გინდა, რომ არ ხარობდეს, მაგრამ როგორია მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, შემადგენლობა და სარგებლიანობა, ყველამ როდი იცის.**

ავიღოთ თუნდაც ატამი. თურმე: საშუალო სიდიდის ატამი მხოლოდ 35 კალორიას შეიცავს.

დაჭრილი ნაყოფი მალე შავდება. ამიტომ, თუ იგი ნამცხვარში ან ღვეზელში უნდა იხმაროთ, წინასწარ ნუ დაჭრით, ან, რომ არ გაშავდეს, ლიმონის წვენი დაასხით.

ექსტრასენსები ამტკიცებენ, რომ ატმის არომატი წარმატების გზაზე გაყენებთ, გეხმარებათ მიზნის მიღწევაში, მავნე ჩვევების დაძლევაში.

**ატმის სურნელება ჩინებული ანტიდეპრესანტი, გულგრილობისა და აპათიის მტერია. იგი ახალისებს გონებრივ შესაძლებლობებს, შველის სუსტ მეხსიერებას, ყურადღების დაქვეითებულ კონცენტრაციას და გონებრივ გადაღლილობას.**

ფიცხმა ადამიანმა ატამი ზომიერად უნდა ჭამოს, რადგან იგი ნერვებზე ამგზნებად მოქმედებს.

ატამი სიცხეში არბილებს და აგრილებს ორგანიზმს, თავად ნაყოფი და მისი წვენი კი შვებაა სიცხეში. ამასთან იგი ორგანიზმიდან დევნის ყოველგვარ მავნე ნივთიერებებს.

**ატამმა ყველაზე უკეთ იცის თავისი ფასი. გავიხსენოთ „ხილთა ქება“:**

**„უკეთესი ვარ**
**ყოველთა, ხე ჩემი**
**ტურფად ყვავისა,**
**შეყრა უხარის**
**ყველასა, ტურფისა**
**სანახავისა...“**

უნდა გავთალოთ თუ არა ატამი? ეს თქვენს გემოვნებაზეა დამოკიდებული. მის კანში ბევრია ვიტამინი C. ამიტომ ჯობს კანგაუცლელად მივირთვათ. ბავშვებს კი უნდა გავუთალოთ, რომ ნაყოფის ბუსუსებმა კუჭის კედლები არ დააზიანოს.

ქართული ხილის გემრიელ და მრავალრიცხოვან ოჯახში ვაშლი ერთ-ერთი პირველია. გავიხსენოთ „ხილთა ქებიდან“ რას ეუბნება იგი თავის თანამოძმეთ:

**„... შვენებითა თქვენ ვერა ხართ**
**ჩემი დარი,**
**ვარ ყოველთა საქებარი, მე ვარ**
**თქვენ მაქებარი,**
**სალხინო და სანადიმო**
**სუფრაზედან სადემარი“.**

ვაშლში ადამიანის ორგანიზმისთვის ბევრი საჭირო ნივთიერება და ვიტამინია. ბავშვობაში ბებო რომ ვაშლს მოგვცემდა, გვეტყოდა, ჭამეთ, შიგ ბევრი რკინააო. ჩვენც ვაშლს წვრილ-წვრილად დავჭრიდით და დავიწყებდით რკინის ძებნას.

— აკი რკინააოო, აბა, სად არის?

— თავად ვაშლია რკინა. ბევრი ჭამეთ, რომ ღონეც და ჭკუაც ბევრი გქონდეთო.

ერთ-ორ ცალს შევჭამდით და მორჩა. დღეს კი ვნანობთ, ბევრ ვაშლს რომ არ ვჭამდით — ზოგს რა გვაკლია და ზოგს — რა.

მოყოლებული ადამ და ევადან ვაშლს ადამიანი არ მიუტოვებია და ადამიანს — ვაშლი. დღეს მსოფლიოში ამ კულტურის ჯიშები რამდენიმე ასეულს აჭარბებს. ჩვენი მიწის ვაშლი თავისი გემოვნებითი და სამკურნალო თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება ევროპისა და ამერიკის ცნობილ ჯიშებს.

მისი სამკურნალო თვისებებიდან გამოვყოფთ შემდეგს:

**ვაშლი ხელს უწყობს ადამიანის ზედმეტი წონის დაკლებას, ამცირებს შეშუპებას, ორგანიზმიდან დევნის ზედმეტ ცხიმს, აწესრიგებს არტერიულ წნევას, ორგანიზმს ამდიდრებს ვიტამინებითა და მინერალური მარილებით.**

რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ვაშლი **კანს აახალგაზრდავებს და ფაფუკს ხდის, იცავს ფილტვებს ნიკოტინისგან და ჭუჭყიანი ატმოსფერული გარემოსგან.**

ქართლი ხილის მხარეა და გასაკვირი არ არის, რომ გორელი დიასახლისები ვაშლს კულინარიაში ფართოდ იყენებენ. ვაშლის ნამცხვარი, ანუ ღვეზელი, (რუსულად „პიროგს“ რომ ვეძახით) ოჯახებში მრავალანაირი რეცეპტით — გემოვნებისა და კულინარიული საქმის ოსტატობის გათვალისწინებით მზადდება.





**გთავაზობთ ვაშლის ნამცხვრის მარტივ რეცეპტს, რომელსაც „გორული“ ჰქვია.**

**250 გრამი კარაქი, ნახევარი ჭიქა შაქრის ფხვნილი ავთქვიფოთ, დავუმატოთ ნახევარი ჭიქა მაწონი, სამი ჭიქა ფქვილი, ძმარში გახსნილი ერთი ჩაის კოვზი სოდა და ოთხი კვერცხის გული. გამზადებული ცომი ორ გუნდად გავყოთ და ფენა-ფენა ცალ-ცალკე გამოვაცხოთ.**

**პარალელურად მოვამზადოთ ვაშლის პიურე: ერთი კილოგრამი ვაშლი გავთალოთ, წვრილად დავჭრათ, დავუმატოთ ერთი ჭიქა შაქრის ფხვნილი, ნახევარი ჭიქა წყალი და პიურე მოვხარშოთ. შემდეგ გავაციოთ და ორივე ფენას წავუსვათ. ფენები ერთმანეთზე დავდოთ.**

ნამცხვარი სუფრაზე მისატანად მზადაა და, თუ სტუმრებიც სასურველი გყავთ, ნამცხვარი უფრო და უფრო გემრიელი ხდება.

**გურამ პავლიაშვილი**

ინფორმაცია

## „ვიზრუნოთ ქალებზე — დავიცვათ მომავალი“

**კავკასიურ** სახლში გუშინ სემინარი „ვიზრუნოთ ქალებზე - დავიცვათ მომავალი“ გაიმართა.

სემინარს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის ექიმი მაია ცინცაძე უძღვებოდა, რომელმაც აივ/ინფექცია/შიდსის ეპიდემიის შესახებ ისაუბრა.

“სქესობრივი გზით დაინფიცირების ალბათობა ქალებში 2,5-ჯერ მეტია, ვიდრე მამაკაცებში. ქალების უმრავლესობა მამაკაცების დაუდევრობის გამო ავადდება. 2005 წლის 11 ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოში შიდსის ვირუსით ინფიცირების 806 შემთხვევაა დაფიქსირებული, მათ შორის - 641 მამაკაცი, ხოლო 160 ქალია. პაციენტთა უმრავლესობა 25-40 წლამდეა“, - აღნიშნა ცინცაძემ.

მისივე თქმით, ამავე პერიოდის მონაცემებით 2005 წელს 168 ახალი შემთხვევა გამოვლინდა. შარშან კი შესაბამის პერიოდში 120 შემთხვევა იყო გამოვლენილი.

ცინცაძის ინფორმაციით, ინფიცირებულთა 64,3 პროცენტი ნარკოტიკების ინტრავენური მომხმარებელია, 28,4 პროცენტი ჰეტეროსექსუალური კონტაქტის შედეგად დაინფიცირდა, 3,5 პროცენტი კი ბისექსუალური კონტაქტით და სხვა.

აივ/ინფიცირების ყველაზე მეტი - 306 შემთხვევა თბილისშია რეგისტრირებული.

## რეიდი ცაგერსა და ბაღდათში

**გარემოს** დაცვის ინსპექციის დასავლეთ საქართველოს ბიუროს თანამშრომლებმა გუშინ, დილით მორიგი რეიდი განახორციელეს. შემოწმებები ცაგერისა და ბაღდათის რაიონებში ჩატარდა.

ინსპექციის თანამშრომლებმა ცაგერში 40 კუბური მეტრი მუხის ხე-ტყე, ხოლო ბაღდათში 45 კუბური მეტრი ცაცხვის და წაბლის მორები აღმოაჩინეს. ხე-ტყის ჭრა ყოველგვარი საბუთის გარეშე იყო განხორციელებული, რის გამოც აღნიშნულ ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრება. სახელმწიფოს მიმართ ზარალი 7000 ლარს აჭარბებს.

როგორც ინტერპრესნიუსს გარემოს დაცვის ინსპექციის დასავლეთ საქართველოს ბიუროს უფროსმა ეროსი მეტრეველმა განუცხადა, დადგება ბაღდათისა და ცაგერის სატყეო მეურნეობების დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხი.

ინტერპრესნიუსი

გვემრავლოს!

## ნესტანი, ოჯახის სიხარული

**— თქვენი** გაზეთის მკითხველი ვარ, მინდა სიხარული გაგიზიაროთ. მე და თათიამ სამი წლის წინათ დავიწერეთ ჯვარი. შვილი არ გვყავდა, თუმცა ერთმანეთის სიყვარული არ გაგვნელებია. უფალმა ინება და ოცნებაც აგვიხდა. შეგვეძინა გოგო. დედაჩემის სახელი — ნესტანი დავარქვით, — გვითხრა ტელეფონით ლევან ჭანტურიამ.



ჩვენმა ოჯახმა პირველი შვილის შეძენით გაიხარა. ნესტანი ოჯახის ბედნიერებაა, ბავშვი ხომ სათავეა ოჯახის სიხარულისა.

პატარა ნესტანი დედაჩემმა დალოცა: — „მოციქულთა სწორო, ქართველთა გამქრისტიანებელო დედაო ნინო, შევიდე სალოცავსა ტაძარსა წმინდასა შენსასა, თაყვანი ვსცე წმინდა ქრისტიანული სულითა და გულით!...“

ჩვენი ოჯახის წევრები მორწმუნე მართლმადიდებლები ვართ, ნესტანსაც ასე გავზრდით!

**ლევან ჭანტურია,**
**სენაკი.**

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

გვწერენ

## გმადლობთ დახმარებისთვის

**ჯერ კიდევ შარშან ცოტნე დადიანის №23-ში მცხოვრებლებმა თხოვნით მივმართეთ დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობას, რათა ჩვენი ავარიული სახლი შეეკეთებინათ.**

სიმართლე გითხრათ, დიდი იმედი არ გვქონდა, მაგრამ გამგეობამ ჩვენი გასაჭირი გულთან მიიტანა და წლეულს, სექტემბერ-ოქტომბერში, სახლი „გაგვიახალგაზრდავა“. სამუშაოები კეთილსინდისიერად შეასრულა სააქციო საზოგადოება „ივერთმშენმა“, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ, როგორც რაიონის გამგეობას, ისე მშენებლებს.

**კორპუსის მცხოვრებთა სახელით,**
**თამაზ ბასლანძე**

**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად: სწავლის სრული კურსის ღირებულებაა 1000 ლარი.**
**მისამართი: ილ. ჭავჭავაძის გამზ. № 32. ტელ: 22-34-26.**

ცოტაც გავიცინოთ...

**— გუშინ** თქვენი პიესის პრემიერაზე ვიყავი და მთელი ღამე არ მიძინია.

— რაო, პიესამ ასე აგაღელვათ?

— არა, თეატრში გამოვიძინე.

* * *

**სასიხარულოა**, რომ საშუალო სტატისტიკური ქართველის შემოსავლების ზრდა საგრძნობლად უსწრებს ინფლაციას. სამწუხაროა, რომ ათი კონკრეტული ქართველიდან მინიმუმ რვა სრულიად საპირისპიროს ხედავს.

* * *

**სომეხი** საგადასახადო პოლიციის თანამშრომელი წუწუნებს:

— ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია ამ ცბიერი სომხებისგან გადასახადების ამოღება. აი, მაგალითად, სომხეთის რადიო, იგი საერთოდ ვერ ვიპოვეთ.

* * *



**ქალაქში** სასეირნოდ გასული დედა-შვილი სახლში დაბრუნდა. ბავშვს საჰაერო ბუშტების მთელი შეკვრა უჭირავს.

— რა არის, ამდენი ბუშტი რომ გიყიდია ბავშვისთვის, ფულის დახარჯვა სხვა რამეზე არ შეიძლებოდა? — საყვედურობს ქმარი ცოლს.

— მამი, ეს ბურთები უფასოა. დედამ სადაც რამე იყიდა, თითო შეძენილი ნივთისთვის თითო ბუშტი გვაჩუქეს!

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო** სამსახური — 022;
გენერალური პროკურატურა — 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;
თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური — 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.

ხსოვნა

## ოთარ მელაძე



მოულოდნელად წავიდა ჩვენგან მეგობარი, დახვეწილი ინტელიგენტი, უმაღლესი რანგის მეცნიერ-პედაგოგი, საუკეთესო პიროვნული თვისებებით შემკული ადამიანი, შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა — ოთარ მელაძე.

ცხოვრებაში, ბუნებით ჩუმსა და უპრეტენზიოს, თავმდაბლობამ, მოკრძალებამ, უზადო პატიოსნებამ და პროფესიონალიზმმა, გულწრფელი და საყოველთაო სიყვარული მოუხვეჭა საზოგადოებაში.

ოთარ მელაძე დაიბადა 1940 წელს დუშეთის რაიონის სოფელ ოძისში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და 1957 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ჯერ ფიზიკის ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ 1965 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე.

1975 წელს ოთარ მელაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას კარგად უთავსებდა აქტიურ სამეცნიერო მუშაობას, იყო ათზე მეტი წიგნისა და რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

თავისი საქმისა და ახალგაზრდების უსაზღვრო სიყვარულმა ოთარ მელაძე მიიყვანა თბილისის ი. ვეკუას სახელობის № 42-ე მათემატიკურ სკოლაში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ჩვეული ერთგულებითა და მაღალი პროფესიონალიზმით ემსახურებოდა მომავალი თაობების აღზრდას.

ბატონო ოთარ! თქვენს მეგობრებსა და თანამშრომლებს მთელი ცხოვრების გზაზე უდიდეს ტკივილად გაგვყვება თქვენი მოულოდნელი გარდაცვალებით გამოწვეული მოუშუშებელი ჭრილობა.

მოწიწებით ვხრით თავს თქვენი ხსოვნის წინაშე და თანავუგრძნობთ თქვენს ოჯახს.

გემშვიდობებით და უფალს ვთხოვთ, ზეციური სასუფეველი დაუმკვიდროს თქვენს სულს წინაპართა საუფლოში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი,**
**სტუ უმაღლესი მათემატიკის კათედრები,**
**თბილისის ი. ვეკუას სახელობის 42-ე მათემატიკური სკოლა.**

ხსოვნა

## შოთა თეთვაძე



არიან ადამიანები, რომელთა წასვლა ამ ქვეყნიდან დიდ სიცარიელეს ტოვებს არა მარტო თავისი ოჯახის, თანამშრომლებისა და მეგობრების წრეში, არამედ იმ სფეროშიც, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები სულ უფრო ცოტანი რჩებიან და რაოდენ დასანანია, რომ მათ რიგებს შეუერთდა კიდევ ერთი შესანიშნავი ქართველი კაცი, კარგი მეცნიერი, პატიოსნების ეტალონი, თავდადებული მამულიშვილი და გამორჩეული ოჯახის პატრონი, პროფესორი შოთა თეთვაძე.

შოთა თეთვაძე საქართველოს უძველესი ისტორიული კუთხის — მესხეთის მკვიდრია. იგი დაიბადა 1932 წელს ჯავახეთის ძირძველ სოფელ პრტენაში, რომელმაც მრავალი გამოჩენილი ადამიანი აღუზარდა სამშობლოს. სწორედ ამ პატარა სოფელში მიიღო მან პირველდაწყებითი განათლება, აქვე ეზიარა თავისი ქვეყნის სიყვარულს, რომელსაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე გაუნელებლად ატარებდა.

თავისი კუთხის არაჩვეულებრივმა ბუნებამ, მდიდარმა ისტორიულმა წარსულმა, იქ გაგონილმა და შესისხლხორცებულმა თქმულებებმა, ზეპირსიტყვიერებამ გაუღვივა სიყვარული ისტორიისადმი, თავისი ხალხის წარსულისადმი. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ახალქალაქის პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე გააგრძელა და ცნობილი ისტორიკოსი გახდა. წარმატებით დაიცვა ჯერ საკანდიდატო, ხოლო შემდეგ სადოქტორო დისერტაციები. გამოაქვეყნა 100-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 15 მონოგრაფია.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მისთვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში გატარებული წლები, სადაც იგი ისტორიული დემოგრაფიის პრობლემებზე მუშაობდა. აქ მთლიანად გამოვლინდა მისი შემოქმედებითი უნარი. ისტორიული წყაროების ცოდნამ, ობიექტურობამ, ფართო თვალსაწიერმა შესაძლებლობა მისცა შოთა თეთვაძეს, შეექმნა არა ერთი მეცნიერული ნაშრომი, რომელთაგან ცალკე უნდა გამოვყოთ მონოგრაფიული გამოკვლევა „სომხები საქართველოში“, რომელიც უდროოდ წასული საყვარელი უმცროსი ძმის, ცნობილი პედაგოგისა და სასკოლო განათლების რეფორმატორის თანაავტორობით გამოაქვეყნა.

შოთა თეთვაძე ჩუმი, ყოველგვარ პრეტენზიებს მოკლებული ადამიანი გახლდათ. სიცოცხლის ბოლო წლებში დიდად განიცდიდა თავისი ქვეყნის ეროვნულ სატკივარს, რომელიც, სამწუხაროდ, მოუშუშებელ იარად თან წაიღო.

მისი დიდბუნებოვნება იმითაც გამოიხატა, რომ როდესაც ჯანმრთელობა საგრძნობლად შეერყა, მიუხედავად მატერიალური გაჭირვებისა, მან ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ლეო ჩიქავას თავად მიმართა განცხადებით დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. იგი წერდა: „დიდი მადლობა თქვენ და ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს იმ მხარდაჭერის, კეთილშობილებისა და დახმარებისთვის, რასაც ჩემს მიმართ იჩენდით თქვენთან მუშაობის პერიოდში“. დღეს მისი ეს სიტყვები მშობლიურ კოლექტივთან, ქვეყანასთან, საყვარელ საქმესთან გამოთხოვებად აღიქმება.

ისეთი ადამიანისთვის, როგორიც ბატონი შოთა თეთვაძე გახლდათ, მართლაც, მსუბუქი იქნება ქართული მიწა.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომლები.**

ლარის კურსი

**13 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1486 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8000 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1663 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0630 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3917 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4021 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5714 ლარი. |

ამინდი დღეს

| 13 ოქტომბერი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 19° | 10° |
| ბათუმი | 19° | 11° |
| სოხუმი | 18° | 12° |
| ქუთაისი | 20° | 14° |
| თელავი | 17° | 10° |

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ოთარ მელაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბადრი ქუთათელაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ზურაბ ჩიქოვანის შვილის
კახა ჩიქოვანის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სასამართლოს თანამშრომელი
ჯანგულ ნადიბაიძე
და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.